# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 10 იანვარი 2006 №2 (2624) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სააკაშვილმა შეასრულა

## ეს სურდათ ხალხს და პრესას






## ქართული ფეხბურთი გერმანული ხელწერით




## კლაუს ტოპმიოლერმა და საქართველომ ორს ორი მიუმატეს




## პრეზიდენტის ტოპ-სიტყვას ტოპ-საქმეც მოჰყვა

# ჰა, ბურთი, ჰერ!

„სამწვრთნელო ასპარეზზე დავბრუნდი და ვფიქრობ, საამისოდ საქართველო იდეალური ვარიანტი იყო" — ასეთი გახლდათ კლაუს ტოპმიოლერის პირველი კომენტარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან 2+2 პრინციპით კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ. ოფიციალური ცერემონიალი, რომელსაც სასტუმრო „თბილისი მარიოტის" საპრესკონფერენციო დარბაზმა უმასპინძლა, ხანმოკლე და საქმიანი იყო. კლაუს ტოპმიოლერთან და მის თანაშემწე რალფ მინგესთან კონტრაქტებზე ქართული მხრიდან ხელი სფფ-ის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ მოაწერეს. დარბაზი აშკარად პატარა აღმოჩნდა საიმისოდ, რათა ხელმოწერის ცერემონიალზე დასწრების მსურველი ყველა ჟურნალისტი და საფეხბურთო ჩინოსანი დაეტია.

ნოდარ ახალკაცმა ერთწუთიანი სეფესიტყვა წარმოთქვა, მხარეებმა კალმები მოიმარჯვეს და კონტრაქტიც შედგა. დარბაზი ტაშით გამოეხმაურა მოლაპარაკებათა დასრულებას.

ამის შემდეგ დაპირებული ბრიფინგიც გაიმართა, თუმცა ბოლო ერთი თვის ყველაზე დამაინტრიგებელი საფეხბურთო შეკითხვა — რამდენს მიიღებს გასამრჯელოდ კლაუს ტოპმიოლერი — მაინც უპასუხოდ დარჩა...

— რამდენად შეესაბამება ბატონი ტოპმიოლერის მიერ თავდაპირველად მოთხოვნილი თანხა იმას, რაც უკვე ხელმოწერილ კონტრაქტში დაფიქსირდა?

**კლაუს ტოპმიოლერი:** საკმაოდ ბევრი წინადადება მქონდა, თუმცა იმასაც გეტყვით, რომ ქართული მხარის შემოთავაზება ჩემთვის მოულოდნელი იყო. ამის მიუხედავად, დავთანხმდი საქართველოს ნაკრების გაწვრთნას, რადგან საკმაოდ დიდი სპორტული პოტენციალი დავინახე. გარდა ამისა, 10 დეკემბერს თბილისში სტუმრობისას გულთბილმა დახვედრამაც ითამაშა თავისი როლი. საქართველოში ადამიანური სითბო ვიგრძენი, რისთვისაც კიდევ ერთხელ ვიხდი მადლობას.

რაც შეეხება ჩემი საქმიანობის პროფესიულ ასპექტს, მწვრთნელი ვალდებულია, მაქსიმალური ინფორმაცია ჰქონდეს ევროპულ ლიგებზე. აქედან გამომდინარე, ვიცნობ იმ ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობებს, რომლებიც წამყვან როლს თამაშობენ ნაკრებში. ისიც შემიძლია გითხრათ, რომ ვუყურე საქართველო — საბერძნეთის მატჩს, რომელიც თბილისში გაიმართა. იმის მიუხედავად, რომ მაშინ საქართველოში ჩემ მუშაობაზე საუბარიც არ იყო, თქვენს გუნდს გულითადად ვქომაგობდი.

— რა კონკრეტულ მიზანს უსახავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ბატონ ტოპმიოლერს და რა დაუჯდება ქართულ მხარეს მისი სამსახური?

**ნოდარ ახალკაცი:** კონტრაქტის მიხედვით, შესარჩევ ჯგუფში პირველი, მეორე ან მესამე ადგილის დაკავების შემთხვევაში, ჩვენი თანამშრომლობა ავტომატურად გაგრძელდება კიდევ ერთი შესარჩევი ციკლით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავსხდებით მოლაპარაკების მაგიდასთან და შემდგომი ურთიერთობის პერსპექტივას განვიხილავთ. რაც შეეხება კონტრაქტის ფინანსურ დეტალებს, გერმანული მხარის მოთხოვნით, კონფიდენციალურია და ვერ გავახმაურებთ.

— რამდენ ხანს დარჩება ბატონი ტოპმიოლერი საქართველოში?

— ყოველმხრივ ვეცდებით, ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა და მისმა შტაბმა მაქსიმალურად დიდი დრო დაჰყონ საქართველოში და საამისოდ ყველა პირობას შევუქმნით.

— ითვალისწინებს თუ არა ხელმოწერილი კონტრაქტი ბატონ ტოპმიოლერისთვის თარჯიმნის დანიშვნას და ექნება თუ არა მას მედიასთან „სამეურვეო საბჭოს" გარეშე შეხვედრის საშუალება?

— ბატონ ტოპმიოლერს თარჯიმანი, რა თქმა უნდა, ეყოლება და მედიასთან შეხვედრისასაც არანაირი „სამეურვეო საბჭო" არ იქნება საჭირო.

— ეროვნული ნაკრებისთვის კვალიფიციური მწვრთნელის დანიშვნა მხოლოდ ერთი პუნქტია ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამიდან. ითვალისწინებს თუ არა ეს პროგრამა სხვა საფეხბურთო პრობლემების მოგვარებაში სახელმწიფოს მონაწილეობას?

— ულრმეს მადლობას ვუხდით საქართველოს პრეზიდენტს, კულტურის და სპორტის მინისტრს, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს იმ ყურადღებისთვის, რომელსაც ქართული ფეხბურთის მიმართ იჩენენ. გასული 15 წლის განმავლობაში სახელმწიფოსა და ფეხბურთის ფედერაციის ამგვარ მჭიდრო თანამშრომლობაზე ოცნებაც კი წარმოუდგენელი იყო. იმედი გვაქვს, ეს თანადგომა მომავალშიც გაგრძელდება, რაც ქართული ფეხბურთის გამარჯვებების წინაპირობას შექმნის.

*„თბილისი მარიოტიდან" კლაუს ტოპმიოლერი და ნოდარ ახალკაცი სახელმწიფო კანცელარიაში ქვეყნის პრეზიდენტთან შესახვედრად გაემართნენ. მიხეილ სააკაშვილმა ქართულ ფეხბურთს და უშუალოდ გერმანელ მწვრთნელს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა და რეზიუმეც თავადვე გააკეთა:*

*„ჰა, ბურთი, ჰა, მოედანი!"*

**გიორგი ნოზაძე**

**საბერძნეთი**
ეროვნული ლიგა. XV ტური
კალამარია 2:2 პაოკ

**საფრანგეთი**
II დივიზიონი. XXI ტური
სედანი 3:0 კლერმონი

**პორტუგალია**
სუპერლიგა. XVII ტური
რიუ ავე — ლეირია *გვიან დამთავრდა*

**ინგლისი**
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
ჰალიფაქსი 0:0 მორეკემბი

**იტალია**
სერია B. XXII ტური
მანტოვა 2:0 მოდენა
სერია C1/B
XVIII ტური
ლანჩანო 0:2 ფროზინონე

# კიდევ ერთი გერმანელი, უცნობი და ნაფიქრი


დიმიტრი რამიშვილი

**გუშინ**, სანამ კლაუს ტოპმიოლერი კონტრაქტს ხელს მოაწერდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მანამდელი იურიდიული ფორმალობა მოაგვარა — ალმასკომის სხდომა გამართა და ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ტოპმიოლერის კანდიდატურას ალმასკომის წევრებმა მხარი ერთხმად დაუჭირეს.

ალმასკომმა კიდევ ერთ გერმანელ მწვრთნელს გამოუცხადა ნდობა — საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს ჰერბერტ ცანკერი უხელმძღვანელებს. ამ თანამდებობაზე ის ლევან მელიქიას შეცვლის.

ჯერ კიდევ შარშან ალმასკომის წევრობა აღარ ისურვეს ალექსანდრე ჩივაძემ და ლევან ყიფიანმა და გუშინ ერთი ვაკანსია შეივსო — ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი გრიგოლ ცაავა ამიერიდან ალმასკომის წევრი იქნება.

სხდომის დასრულების შემდეგ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ალმასკომის წევრსა და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს...

**— ტოპმიოლერთან რა ვადიან კონტრაქტს დაუჭირა მხარი ალმასკომმა?**

— ტოპმიოლერთან ორწლიანი კონტრაქტი გაფორმდება და თუ დამდეგ შესარჩევ ციკლში ჩვენი ნაკრები ჯგუფში პირველ, მეორე ან მესამე ადგილს დაიკავებს, ხელშეკრულება კიდევ ორი წლით გახანგრძლივდება.

**— ტოპმიოლერის ასისტენტი რალფ მინგე იქნება, მაგრამ კიდევ ვინ დაეხმარება მას?**

— ეს საკითხი ალმასკომის სხდომაზე არ განხილულა. რაც შეეხება ნაკრების მენეჯერს, ტოპმიოლერი უკვე განიხილავს რამდენიმე კანდიდატს და მენეჯერის ვინაობა თებერვალში გახდება ცნობილი.

**— თორმეტკაციანი ალმასკომის ერთი წევრის ადგილი კვლავ ვაკანტურია...**

— მომდევნო სხდომაზე ალმასკომი სრული შემადგენლობით შეიკრიბება, მანამდე კი ვფიქრობთ, თუ ვინ იქნება ალმასკომის მეთორმეტე წევრი.

**— ალმასკომმა მხარი დაუჭირა ჰერბერტ ცანკერის კანდიდატურასაც — გაქვთ ინფორმაცია ამ მწვრთნელზე, რომელსაც ჩვენი 17-წლამდელები ანდეთ?**

— ნაუცბათევი გადაწყვეტილება არ მიგვიღია, ცანკერზე წინა ალმასკომის სხდომაზეც ვიმსჯელეთ. მოკლედ, ალმასკომის წევრებს გვქონდა საკმარისი დრო, ცანკერის კანდიდატურაზე დასაფიქრებლად. ალმასკომმა ცანკერს ერთხმად დაუჭირა მხარი.

**— საქართველოს 21 და 19-წლამდელთა ნაკრებებს ვინ უხელმძღვანელებს?**

— ორივე ნაკრებს კვლავ კობა ჟორჟიკაშვილი გაუძღვება.

**— ჟორჟიკაშვილი იმავდროულად „ზესტაფონი 2“-ის მწვრთნელიცაა — ნორმალურად მიგაჩნიათ, რომ ერთი კაცი სამ გუნდს წვრთნის?**

— ალმასკომის სხდომაზე ამ თემას არ შევხებივართ.

**დავით თავართქილაძე**


მოსამზადებელი ეტაპის „დინამო“ — „სიონი“

# ჯერ სოხუმი, მერე მოსკოვი

## დინამოს ახალაია დაუბრუნდა

**თბილისის** „დინამო“ დღეს „ოლიმპის“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე მოსამზადებელი პერიოდის მესამე ამხანაგურ მატჩს გამართავს, ამჯერად „სოხუმთან“. წინა ორი შეხვედრა თბილისელებმა ბოლნისის „სიონთან“ ჩაატარეს — 27 დეკემბრის თამაში 0:0 დამთავრდა, ხოლო 7 იანვარს „დინამომ“ 3:0 მოიგო. გოლები გიორგი ქუცურუამ, ნიკა ფირცხალავამ და მიხეილ კაკალაძემ მეორე ტაიმში გაიტანეს. სათქმელია, რომ ჩემპიონატის პირველ წრეში ქუცურუა და კაკალაძე „დინამოს“ „სიონში“ და „ბათუმში“ ჰყავდა განათხოვრებული, ახლა კი თბილისელებმა დაიბრუნეს. თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაა, ისინი და აქამდე განათხოვრებული სხვა ფეხბურთელები ჩემპიონატს „დინამოში“ განაახლებენ თუ სხვაგან.

„დინამოსგან“ სიახლე ის არის, რომ გუნდთან ერთად ვარჯიშობს შვეიცარიულ „ციურიხთან“ კონტრაქტგასრულებული ლადო ახალაია.

საიმედო ამბებია „დინამოს“ ლაზარეთიდანაც. მოგეხსენებათ, თბილისელებს ტრავმიანობის გამო სტაბილური შემადგენლობით პირველ წრეში, ფაქტობრივად, არ უთამაშიათ, რადგანაც თითქმის ნახევარი გუნდი დაშავებული იყო. სადღეისოდ კი ვარჯიში უკვე დაიწყო სანდრო იაშვილმა და მოსამზადებელი პერიოდის მეორე ეტაპს სრულად გამოჯანმრთელებული შეხვდება. ნელ-ნელა დატვირთვას უმატებენ შოთა კაშია და გიორგი ნერგაძე, რომლებიც თამაშს, სავარაუდოდ, მარტიდან დაიწყებენ, ხოლო შოთა ბაბუნაშვილმა კონდიციების აღდგენა ტრენაჟორებით დაიწყო და მოედანს, ალბათ, აპრილში დაუბრუნდება.


ლადო ახალაია

პარასკევამდე თბილისის „დინამო“ ვარჯიშს თბილისში განაგრძობს და მერე მოსკოვში, ესენგეს ჩემპიონთა ტურნირზე სათამაშოდ გაემგზავრება. ჩვენები 14, 15 და 17 იანვარს ითამაშებენ და, შესაძლოა, მოსკოვს მეტ ხანსაც შემორჩნენ, ოღონდ საამისოდ ჯგუფში წარმატებით თამაშია საჭირო. ჯგუფში კი „დინამოს“ რუსეთის ჩემპიონ ცესკასთან, ტაშკენტის „ფახთაქორთან“ და ტალინის ტვმკ-სთან თამაში მოუწევს.

**კობა ინასარიძე**

# ჟორჟიკაშვილის პორტუგალიური დღიური

## საქართველო სლოვაკეთიდან აზერბაიჯანამდე


კობა ჟორჟიკაშვილი

**24 იანვარს** პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში ოთხთა ახალგაზრდული საერთაშორისო ტურნირი VALE DO TEJO იწყება.

ტურნირში მასპინძელი პორტუგალიის, საქართველოს, სლოვენიის და სლოვაკეთის 21-წლამდელთა ნაკრებები ითამაშებენ და ჩვენც კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდების მზადებაზე გეტყვით.

ჟორჟიკაშვილს საპორტუგალიოდ 22 ფეხბურთელი ჰყავდა შერჩეული და მათ საქართველოს ნაკრების ბაზაზე ავარჯიშებდა, თუმცა ამერელი გიორგი ნიკოლაიშვილი დაშავდა და მწვრთნელს მისი შემცვლელის მოძებნა მოუწევს.

ორიოდ დღის წინ კი „ოლიმპიკზე“ ამხანაგური მატჩიც გაიმართა 21-წლამდელთა და 19-წლამდელთა შორის. შეხვედრა ფრედ, 4:4 დასრულდა.

ქართველი 21-წლამდელები ლისაბონში 23 იანვარს გაემგზავრებიან, ტურნირს კი სლოვაკეთთან მატჩით გახსნიან. შეხვედრა ჩვენი დროით 15.30 საათზეა დანიშნული.

საქართველო-სლოვაკეთს შორის გამარჯვებული ფინალში მასპინძლებს გაეჯიბრება, დამარცხებული კი მესამე ადგილისთვის მატჩში სლოვენიას შეხვდება. ორივე თამაში 26 იანვარსაა დაგეგმილი.

ტურნირის დასრულების შემდეგ ქართველები ლისაბონში დარჩებიან და ამხანაგურ მატჩებს გამართავენ პორტუგალიური კლუბების დუბლ-შემადგენლობებთან.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, 7 და 9 თებერვალს კობა ჟორჟიკაშვილის გუნდი კიდევ ორ სპარინგს გამართავს — თბილისში აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრები ჩამოდის.

**ბაჩა შალამბერიძე**

### ახალგაზრდული ნაკრების საპორტუგალიო შემადგენლობა

*მეკარეები: რევაზ თევდორაძე (თბილისი), მიხეილ ალავიძე (თბილისი);*

*მცველები: დავით მჭედლიშვილი (ამერი), ზურაბ გვაძაბია (ამერი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), გიორგი ელბაქიძე (ამერი);*

*ნახევარმცველები: მირზა ბჟალავა (ამერი), გიორგი განუგრავა (ზესტაფონი), კახა მახარაძე (დინამო), რევაზ წულაძე (ვიტ ჯორჯია), ირაკლი ჩირიკაშვილი (დინამო), ირაკლი ძარია (ზესტაფონი), გოგი ფიფია (ზესტაფონი), გიორგი ჭელიძე (დინამო), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი);*

*თავდამსხმელები: რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), ბესიკ ჩიმაკაძე (ამერი), გიორგი კახელიშვილი (ლოკომოტივი).*

# ნათხოვრობის ხანა

## ჯერ ბავშვებს მიხედეთ და მერე...



გაჩანა ილასტაშვილის ფოტო

**საქართველოს** ნაკრებს ტოპკლასის მწვრთნელი ჰყავს და ეს უდავოდ კარგია.

ქართულ ფეხბურთს წარმომადგენლობა ჰყავს იტალიის სერია A-ში, ინგლისურ პრემიერლიგაში, გერმანულ ბუნდესლიგაში, ჰოლანდიის ერედივიზიონში და ეს ბიჭები თავიანთ კლუბებში არცთუ მეორეხარისხოვან როლს თამაშობენ.

ამ ცოტა ხნის წინ ფეხბურთის ფედერაციამ ლიცენზირების მორიგი ეტაპის დაწყება გვამცნო, რომლის მიხედვითაც უკვე მომავალი წლიდან ქართულ სტადიონებზე სულ მცირე სამი ათასი ინდივიდუალური სკამი და ევროგანათება უნდა გვქონდეს...

პროფლიგამ სამინდვრე მეურნეობის პროექტი დაასრულა და ეს მალე იმ სკამებიან-განათებიანი სტადიონების იდეალური მინდვრის საფარით მოხალიჩების კარგი შანსია...

მოკლედ: არც ისე ცუდად ჩანს საქმე, მაგრამ... ეს „მაგრამ" არის, ჩვენს ოპტიმიზმს ერთბაშად რომ ასხამს ცივ წყალს. ვინ უნდა ითამაშოს ხვალ და ზეგ ამ ხასხასამინდვრებიან გაბრდღვიალებულ სტადიონებზე?

ქართულ ფეხბურთში ზამთრის პაუზაა და მოცალეობის ჟამს კიდევ ერთხელ „შევიარეთ" პროფლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე. სხვა ინფორმაციასთან ერთად იქ ჭაბუკთა ლიგის სამი ასაკობრივი ჯგუფის სტატისტიკური მონაცემების გაცნობაც შეგიძლიათ. პირველი წრის საბოლოოო ცხრილებზე თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ რამდენიმე აშკარა შეუსაბამობა დააფიქსიროთ. არა, სტატისტიკური მონაცემები აქ არაფერ შუაშია — ქართული საკლუბო ფეხბურთის ზოგად სურათთან შეუსაბამობაზეა ლაპარაკი.

1990 წელს დაბადებულ ჭაბუკთა გუნდებს შორის აუტსაიდერს გატანილ-მილებული ბურთების ბალანსი 6:99 (!) აქვს. თხუთმეტ შეხვედრაში საშუალოდ 6,6 გაშვებული ბურთი გამოდის და თუ ანგარიშებიც გაინტერესებთ — 0:9; 0:10; 0:5; 0:9; 0:14; 0:9; 0:6; 0:17...

ახლა ერთი წლით უმცროსების, 1991-წლიანების ცხრილს გადავავლოთ თვალი. აუტსაიდერს აქ კიდევ უფრო შავად აქვს საქმე: ბურთების შეფარდება 4:122 (!!!) და პირველი წრეში დაფიქსირებული ანგარიშები — 0:6; 0:13; 0:11; 0:6; 0:13; 1:14; 0:9; 0:10; 0:7; 0:11...

კომენტარი? ალბათ უადგილოა. თუმცა იმას კი გეტყვით, რომ აუტსაიდერი ორივე შემთხვევაში „ბორჯომია". იმასაც შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ბორჯომის სტადიონზე ბოლო თაობის ხელოვნური საფარი დაიგო, უფროსი ბორჯომელები კი უმაღლესი ლიგის ლიდერთა შორის არიან და ერთ-ერთ ევროსაგზურზეც აცხადებენ პრეტენზიას.

ბოლო თაობის ხელოვნური საფარი, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ სანამ მის დაგებას ვზეიმობთ, ერთი საფეხბურთო თაობა რომ ხელში გვადნება, იმას რა ვუყოთ? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ზემოთ რომ ანგარიშები გაგაცანით, იმ ანგარიშებით მარცხს მიჩვეული 15-16 წლის ჭაბუკები დიდ ფეხბურთს ვერასოდეს ითამაშებენ. ფეხბურთს ვინ ჩივის, ზოგადად დამარცხებულის ფსიქოლოგია, არასრულფასოვნების კომპლექსი, „სულ ერთიას" და „აი, დარდის" სინდრომი უყალიბდებათ.

ამასობაში ალბათ იური გაბისკირიაც დაასრულებს კარიერას, თბილისის „თბილისიც" გამოითხოვს ბორჯომში განათხოვრებულ ფეხბურთელებს, ფეხბურთზე გადაგებულ რაიონის გამგებელს დააწინაურებენ, მის ნაცვლად შესაძლოა ბადმინტონის ან სულაც ბალახის ჰოკეის ფანი დანიშნონ და...

არავინ იფიქროს, ამ წერილის მიზანი „ბორჯომის" და ბორჯომელთა განქიქება იყოს. ეს მხოლოდ ერთი, ჩვენს ბავშვთა ფეხბურთში შექმნილი სურათის ყველაზე მკაფიო მაგალითია. ჭაბუკთა ლიგის ლამის მესამედს ის გუნდები შეადგენენ, ოფიციალური თუ არაოფიციალური შეთანხმების საფუძველზე უმაღლესლიგელი კლუბის მიერ სხვა საფეხბურთო სკოლებიდან რომ არიან ნათხოვარი. თანაც, ეს იმ გუნდებს ეხებათ, ქვეყნის ჩემპიონობაზე თუ არა, ევროპაში საქართველოს სახელით ბურთაობაზე რომ აქვთ პრეტენზია.

საკუთარი საფეხბურთო სკოლა არ გააჩნია „ლოკომოტივს", „ვაკე-91"-ის აღზრდილებით გამოდის ჭაბუკთა ლიგაში „ვიტ ჯორჯია", „ოლიმპის" გუნდითაა წარმოდგენილი სოხუმის „დინამო"...

ზემოთ ლიცენზირების პროცესი ვახსენეთ, რომელიც გაისიდან კიდევ უფრო გამკაცრდება. უმაღლესი ლიგის კლუბებისთვის უკვე არა სამი, არამედ ოთხი ასაკობრივი გუნდის ყოლა იქნება სავალდებულო. ვეჭვობთ, ლიცენზირების ახალი ეტაპი რეალურად ნათხოვრობის ახალ ეტაპად იქცევა...

**გიორგი ნოზაძე**

# ქართველები უცხოეთში

## ხიზანიშვილის ბურთიანი შობა და მუჯირის კვიპროსული დებიუტი



ამირან მუჯირი

**ახალი** წელი დადგა და ევროპის ქართული ლეგიონიც საქმეშია. მართალია, ჯერჯერობით ძალიან ცოტა ქართველი თამაშობს, თუმცა ნელ-ნელა მათ სხვებიც შეემატებიან და ჩვენი ყოველკვირეული მიმოხილვაც უფრო ტევადი იქნება.

ისე, ჩვენი ლეგიონერებიდან ზურაბ ხიზანიშვილი ერთადერთია, ვისაც არ დაუსვენია. ინგლისური წესჩვეულებები მოგეხსენებათ და, „ხიზანაც" დღესასწაულებს მოედანზე შეხვდა. აგერ, მაგალითად, ჩვენებურ შობა-დღეს ხიზანიშვილის „ბლექბერნი" ასოციაციის თასზე „ქუინზ პარკს" შეხვდა და 3:0 დაამარცხა. ჩვენიანმა სრულად და საიმედოდ ითამაშა.

უქმეების კიდევ ერთი საინტერესო ამბავი კვიპროსზე მოხდა. ამირან მუჯირმა „ანართოსისში" წარმატებული დებიუტი მოიწყო — თემურ ქეცბაიას შეგირდებმა 2:0 მოუგეს „სალამინას".

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | პარმა 4:3 | 90 | | 11 | 1 | 2 |
| **ინგლისი. ასოციაციის თასის ოცდამეთორმეტედფინალი** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | ქუინზ პარკი 3:0 | 90 | | | | |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | ს | ფეიენოორდი 2:0 | 90 | | 17 | 13 | 1 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | პსვ 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 9 | 0 | 12 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | აეკ 0:0 | 90 | | 10 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | შ | სალამინა 2:0 | 86 | შეცვალეს | 10 | 2 | 4 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | შ | სალამინა 2:0 | 90 | 1 გოლი | 11 | 3 | 4 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | შ | სალამინა 2:0 | 4 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 4 |
| ამირან მუჯირი | ანართოსისი | შ | სალამინა 2:0 | 56 | შეცვალეს | 1 | 0 | 4 |
| ლევან ქებაძე | აშნა | ს | აეკ 0:3 | 90 | | 10 | 2 | 11 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



გიორგი შაშიაშვილი (მარჯვნივ) „ალანიას“ გაეცალა

# ჰაიდუკმა შაშიაშვილს დობრო უთხრა

## ვლადიკავკაზის ალანიას აორთქლება ემუქრება

ვლადიკავკაზის „ალანიადან“ წასული გიორგი შაშიაშვილი ხორვატიაშია და დღეს-ხვალ ჩემპიონ სპლიტის „ჰაიდუკთან“ კონტრაქტს გააფორმებს. ქართველი მცველი სპლიტში თბილისის „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელის, ივო შუშაკის რეკომენდაციით ჩავიდა და კლუბის ხელმძღვანელებს საკონტრაქტო პირობებზეც უპრობლემოდ მოელაპარაკა. ჯერჯერობით უცნობია, შაშიაშვილი ხორვატიის ჩემპიონ კლუბში რამდენი ხნით დარჩება, თუმცა შევიტყვეთ, რომ ქართველი მცველი „ჰაიდუკში“ განათხოვრებით ითამაშებს. ვლადიკავკაზის „ალანია“ გიორგის სანაცვლოდ დიდ ფულს ითხოვს, რისი გადახდაც ხორვატებს არ შეუძლიათ და ქართველის ნათხოვრობასაც ამად აპირებენ.

ისე კი, ერთ-ორ კვირაში ვლადიკავკაზის „ალანიას“ შესაძლოა არა მხოლოდ შაშიაშვილის, არამედ ყველა ფეხბურთელის დათმობამ მოუწიოს. საქმე ისაა, რომ „ალანია“ ვალებშია ჩაფლული და თვითლიკვიდაციის პირასაა, ხოლო ასე თუ მოხდა, კლუბის ყველა ფეხბურთელი ავტომატურად მიიღებს გათავისუფლების ფურცელს და კონტრაქტებიც გაუქმებულად ჩაითვლება. სადღეისოდ კი „ალანიასთან“ კონტრაქტი შაშიაშვილის გარდა სხვა ჩვენებურებსაც — დავით კვირკველიას, ჯაბა კანკავას, ლადო ბურდულს, ვიტალი დარასელიას, გიორგი დემეტრაძესა და ლევან გვაზავას აკავშირებთ.

**კობა ინასარიძე**

# კობი გრიპმა დაასვენა

გელზენკირხენის „შალკემ“ მირკო სლომკას თავკაცობით კიდევ ერთი მატჩი ჩაატარა — ობერლიგელ კიოლნის „ვიქტორიასთან“ 4:0 მოიგო, თუმცა ლევან კობიაშვილს არ უთამაშია. კობის გრიპის ვირუსი შეეყარა, თუმცა „შალკეს“ მომდევნო ტესტ-თამაშში ჩვენიანი მწყობრში იქნება.

**ილია ნანობაშვილი**



# ამერის ბაკურიანული კაჟი

## გიორგი ჩიხრაძე: ახალწვეულებით უკმაყოფილო ჯერჯერობით არ ვარ



თბილისის „ამერმა“ პირველი წრე მეექვსე ადგილზე დაასრულა, თუმცა ამბიციური და წელგამართული კლუბებისთვის ეს დიდი ვერაფერი შედეგია. ამერელებმა სამეორეწრეო თადარიგი დეკემბერშივე დაიჭირეს, როცა ბოლნისის „სიონიდან“ სამი ფეხბურთელი შეიმატეს — დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე და თენგიზ ჩიკვილაძე. გიორგი ჩიხრაძის გუნდი ამაზე გაჩერებას არ აპირებს, მანამდე კი „ამერი“ ბაკურიანში კაჟდება...

— აქ ისეთი ვარჯიშები გვაქვს, გუნდს ამ ეტაპზე რომ სჭირდება. დილით თოვლში ვვარჯიშობთ, საღამოს კი დარბაზში. 13 იანვრამდე ბაკურიანში ვიქნებით, შემდეგ კი თბილისში ჩამოვალთ — გვითხრა გუშინ გიორგი ჩიხრაძემ.

— ფეხბურთელების მზადებით კმაყოფილი ხართ? ახალწვეულები როგორ შეეჩვივნენ დატვირთვებს?

— გულგრილი დამოკიდებულება არავისთვის შემიმჩნევია. დოლიძეც, ბოლქვაძეც და ჩიკვილაძეც მონდომებულები არიან და ჩვეულებრივ ემზადებიან.

— „სპარტაკის“ ფორვარდი ვასილ ლუჭაშვილი გასინჯვაზეა თქვენთან. აქვს მას „ამერში“ დარჩენის შანსი? და კიდევ, როგორც ვიცით, „ზესტაფონის“ მეკარე ზურაბ ქვაჩახიას შეძენა გსურთ...

— ლუჭაშვილი ფიზიკურად ძლიერი მოთამაშეა, რიტმიდან ოდნავადაც არ ამოვარდნილა. თუმცა ჩვენ მას ამხანაგურ მატჩებში გამოვცდით და მერე გადავწყვეტთ ყველაფერს. რაც შეეხება ქვაჩახიას, მისთვის „ზესტაფონს“ ჯერ არ მიუცია გათავისუფლების ფურცელი და ვარჯიშსაც ამ კლუბში აგრძელებს. ისე კი, ამ მეკარით დაინტერესებულნი ვართ.

— 24 იანვარს ანთალიაში მიდიხართ, სადაც ამხანაგურ ტურნირშიც ითამაშებთ. მანამდე თბილისშიც გეგმავთ ტესტ-მატჩებს?

— დიახ, გვინდა, ორი ამხანაგური თამაში ჩავატაროთ, მაგრამ კონკრეტულად ვისთან, ჯერ არ ვიცით — მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ანთალიაში კი 12-გუნდა ტურნირი გველის. თითო ჯგუფში ოთხი გუნდი იქნება, მაგრამ მეტოქეების ვინაობა საბოლოოდ არაა ცნობილი. აქამდე ვიცოდით, რომ ჩვენს ჯგუფში აზერბაიჯანული „ნეფთჩი“ და სერბეთისა და კორეის გუნდები უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა ზოგი კლუბი გეგმებს ცვლის და ჩამოვლენ თუ არა ანთალიაში, ჯერ არ ვიცით. მთავარია, რომ თურქულ ტურნირზე, სულ მცირე, სამ მატჩს გავმართავთ.

**ილია ნანობაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიდინჯის დროა



ლენარტ იუჰანსონი უეფათი დაიღალა

**უეფას** პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა განაცხადა, რომ 2007 წელს თანამდებობაზე კენჭს აღარ იყრის. მიზეზი: ის 76 წლისაა და დარჩენილი ცხოვრების უფრო მშვიდად გატარება სურს.

იუჰანსონი, რომელიც უეფას 1990 წლიდან უდგას სათავეში, 76 წლისა ნოემბერში მოიყარა.

„ჩემთვის დაშოშმინებისა და საქმეების სხვისთვის გადაბარების დრო დადგა — უთხრა პრეზიდენტმა ბერძნულ ჟურნალ **K**-ს — გაოცებას ვერ ვმალავ, როდესაც ვიხსენებ თუ რამდენ ხანს ვმუშაობდი უეფას პრეზიდენტის თანამდებობაზე. მინდა დაგამშვიდოთ, რომ მე ბევრ განათლებულ და გონიერ ადამიანს ვხედავ, რომელთაც ჩემი შეცვლა შეუძლიათ“.

**პაპუნა ძიძია**



ალესანდრო დელ პიერო დღეს შესაძლოა, „იუვენტუსის“ რეკორდსმენი გახდეს

# დღეს სიძულვილის დღეა

**იტალიის** თასისთვის მებრძოლმა გუნდებმა რვა დაწინაურებულის ვინაობა უნდა გაარკვიონ. ხსენებულ მებრძოლთა შორისაა „იუვენტუს“ — „ფიორენტინას“ წყვილიც, რომელიც ნახევარკუნძულზე ყველაზე დაძაბულ და ტრიბუნებზე უწესრიგობის თვალსაზრისით, ყველაზე სახიფათო თამაშებს სთავაზობს გულშემატკივარს.

სერია **A**-ში პირველ და მეოთხე ადგილებზე მყოფი ეს გუნდები ტურინის „სტადიო დელე ალპიზე“ გააგორებენ ბურთს. მათი პირველი თამაშის ანგარიშია 2:2.

ორიოდ სიტყვით გავიხსენოთ ფლორენციელთა და ტურინელთა მტრობის ისტორია, რომელიც სათავეს 1981-82 წლების სეზონიდან იღებს. მაშინდელი სეზონი ისე გაილია, რომ ბოლო ტურის წინ „იებსა“ და „ბებერ ქალბატონს“ ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდათ, ბოლო თამაშში კი ტურინელთა სასარგებლოდ მსაჯმა პენალტი დანიშნა, ფლორენციელებს კი გოლი არ ჩაუთვალეს. ბუნებრივია, ფლორენციის მოსახლეობაში მაშინვე დაირხა ხმა, რომ ტურინელებმა ორივე შეხვედრის მსაჯები მოქრთამეს და ზიზღიც გაღვივდა.

ახლა, მიმდინარე შეჯიბრების პირველი თამაშის ამბები გავიხსენოთ. „არტემიო ფრანკიზე“ თამაშს სათასო შეხვედრებისთვის უჩვეულოდ ბევრი, 25 ათასი ადამიანი დაესწრო და გვარიანი ქომაგობაც გააჩაღა. თავიდან თამაში, მართლაც ფლორენციელთა გულის საამებლად მიდიოდა, მაგრამ მას მერე, რაც 2:0 უპირატესობა დაიკარგა და ანგარიში 2:2 გახდა, ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ცეცხლზე ნავთი კი პოლიციელების გასროლილმა ცრემლმდენმა გაზმა დაასხა...

საპასუხო შეხვედრის წინ კი ასეთი მდგომარეობაა: „იუვეს“ ვარსკვლავს, ალესანდრო დელ პიეროს „შავ-თეთრი“ მაისურით 182 გოლი აქვს გატანილი და თუ ფაბიო კაპელო ათამაშებს, ჯამპიერო ბონიპერტის მიერ ორმოცდაათიან წლებში დამყარებული საყოველთაო რეკორდი იოლი შესაძლებელია დაემხოს.

„იუვესა“ და „ფიორენტინას“ შორის გამარჯვებული მეოთხედფინალში „რომასა“ და „ნაპოლის“ შორის გამარჯვებულს შეხვდება. ოდესღაც დიდებული „ნაპოლი“, რომელშიც ოთხმოციანი წლების ბოლოს თვით დიეგო მარადონა ბრწყინავდა, მართალია, დღეს სერია **C**-შია, მაგრამ მშობლიურ „სან პაოლოზე“ მაინც დიდად უჭერენ მხარს. მაგალითად, რომაელებთან პირველ შეხვედრაში, ნეაპოლის სტადიონზე 60 ათასი მაყურებელი ქომაგობდა საყვარელ გუნდს, რომელმაც 0:3 წააგო.

**პაპუნა ძიძია**

# ბასკებმა დანიელი იშოვეს

**სან სებასტიანის** „სოსიედადს“ ახალი ფეხბურთელი ჰყავს — „ბრონდბიუს“ ყოფილი მოთამაშე მორტენ სკოუბო ხოსე მარია ამორორტუს გუნდს ორი სეზონით შეუთანხმდა.

„კონტრაქტი პრაქტიკულად უკვე გავაფორმეთ, ახლა უმნიშვნელო დეტალებიღაა მოსაგვარებელი“ — განუცხადა ესპანურ მედიას კარსტენ აებრინკმა, მორტენ სკოუბოს აგენტმა.

დანიელი თავდამსხმელის ბასკურ გუნდში გადასვლის შესახებ გაზეთებში ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დაწერეს, გუშინ კი დაინტერესებული მხარეები საბოლოოდ შეთანხმდნენ. ახლა მორტენ სკოუბო სამედიცინო შემოწმებას გაივლის და „სოსიედადის“ მოთამაშედ ოფიციალურად დღეს წარსდგება. „სოსიედადი“ ესპანურ პრიმერადივიზიონში მეთერთმეტე ადგილზეა.

**ლადო ხომერიკი**



მორტენ სკოუბო კარიერას პირინეებზე გააგრძელებს



# მეხია არ გაუშვეს

**ესპანელი** მცველი ალვარო მეხია სეზონის ბოლომდე კვლავ მადრიდის „რეალში“ დარჩება. „სამეფო გუნდის“ სათადარიგო ფეხბურთელმა უფროსობას ადრე იჯარით სხვა კლუბში გაეზავნა სთხოვა — „რეალის“ ოლინდელ მწვრთნელთა პერიოდში მას თითქმის არ უწევდა მოედანზე გასვლა და იმიტომ. ახლა ვითარება შეიცვალა — „გალაქტიკოსთა“ დამრიგებლად ხუან რამონ ლოპეს კარო მოვიდა და.

„მწვრთნელმა მითხრა, რომ ხშირად მომეცემოდა თამაშის საშუალება და დამარწმუნა, რომ მენდობა. ამიტომაც გადავწყვიტე, სეზონის ბოლომდე „რეალში“ დავრჩე. დანარჩენზე კი მერე, სეზონის ბოლოს“ — უთხრა მადრიდულ „ასს“ მეხიამ.

დედაქალაქელი მცველი რას მოიფიქრებს, ჯერ უცნობია, თუმცა აქამდე ესპანეთში მის სამომავლო გუნდად ასევე მადრიდულ „ხეტაფეს“ მოიაზრებენ.

**ლადო ხომერიკი**

# აწეული ხელები

**მადრიდის** „რეალის“ მეკარემ იკერ კასილიასმა „ვილიარეალთან“ 0:0-ისა და „ბარსელონასთან“ 13-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ ხელები აღმართა. მისი თქმით, თუ „სამეფო გუნდს“ მიმდინარე სეზონში ჯილდოს მოგება უნდა, ეს ჯილდო პრიმერადივიზიონს გარეთ უნდა ეძებოს.

„დღითი დღე, უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ჩვენ ესპანეთის თასზე და ჩემპიონთა ლიგაზე უნდა გადავიტანოთ აქცენტი, ვინაიდან, ეს ორი შეჯიბრება პლეი ოფის სისტემით ტარდება“ — უთხრა გოლკიპერმა რადიო **COPE**-ს და განაგრძო — ასეთ დონეზე, რეგულარულ ჩემპიონატში ქულები არ უნდა დაკარგო. დღეს ლიდერი უკვე 13 ქულით გვისწრებს და ამას გარდა, ჩვენს შორის მყოფი გუნდებიც არ გრძნობენ თავს ჯაბნად“.

შეგახსენებთ, რომ „ბარსელონამ“ ბოლო ტურში თანაქალაქელი „ესპანიოლი“ დაამარცხა და ყველა შეჯიბრებაში ერთად ზედიზედ 15 თამაში მოიგო.

მას მერე, რაც „რეალის“ მწვრთნელის თანამდებობიდან ვანდერლეი ლუშემბურგო გაათავისუფლეს და მისი ადგილი დროებით ხუან რამონ ლოპეს კარომ დაიკავა, გუნდმა ოთხი თამაშიდან მხოლოდ ერთი მოიგო.

რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, მოგეხსენებათ, ამ შეჯიბრებაში „რეალი“ თებერვალში ლონდონის „არსენალს“ უნდა შეხვდეს.

**პაპუნა ძიძია**




იკერ კასილიასმა ესპანეთის ჩემპიონატზე ხელი ჩაიქნია

# ალავესმა კოსი გააგდო

**ესპანური** „ალავესის“ უფროსებმა გადაწყვიტეს, მწვრთნელი შეეცვალათ და ამიერიდან დმიტრი პიტერმანის გუნდს ჩუჩი კოსის ნაცვლად მისი ექსთანაშემწე ხუან მანუელ ოლივა გაწვრთნის.

სენიორ კოსის მწვრთნელობა უიღბლო გამოდგა, „ალავესმა“ ერთმანეთს წაგებათა მთელი სერია გადაბა და შედეგად ვიტორიელი ბასკები პრიმერადივიზიონის ბოლო ადგილზე აღმოჩნდნენ. აწ უკვე ყოფილ დამრიგებელს გუნდში მძლავრი დასაყრდენი ჰყავდა — თვით პრეზიდენტი პიტერმანი, ოღონდ „სარაგოსასთან“ ბოლო წაგებამ (0:2) ეს პატივცემული მაგნატიც გააღიზიანა და მოძულებული კაცი თანამდებობიდან უბოდიშოდ დაითხოვა.



ჩუჩი კოსი

„ალავესის“ პრიმერაში დარჩენისთვის ყველანი ერთად ვიბრძოლებთ. ფეხბურთელთა განწყობა ოპტიმისტურია და სეგუნდადივიზიონში ჩაჩეხვაც არავის სურს“ — მოკლედ განაცხადა ხუან მანუელ ოლივამ.

**ლადო ხომერიკი**

# მონაკოს გავლით ნაკრებისკენ

## საფრანგეთი იტალიასთან ახლოსაა

„**მილანის**“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ამბობს, რომ „მონაკოს“ წარმომადგენლებთან საბოლოო შეთანხმება მიღწეული აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ კრისტიან ვიერის საგრაფოს გუნდში გადასვლას წინ მხოლოდ პირადი საკითხების ანუ ხელფასისა და სხვა დეტალების მოგვარებაღა უდგას, რაც სინამდვილეში მოკლე დროის ამბავია და მეტი არაფერი.

ვიერის „მილანიდან“ წასვლაში გასაკვირი არაფერია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ „შავ-წითელთა“ ბანაკში მხოლოდ გასულ ზაფხულს გადაბარგდა, ანდრეი შევჩენკოსთან, ალბერტო ჯილარდინოსთან და ფილიპო ინძაგისთან კონკურენციას ვერ გაუძლო, რაც რიცხვებში ასე აისახა: მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ მიმდინარე სეზონში, სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ სამჯერ შეიყვანა.

ალსანიშნავია, რომ ასეთი ცუდი სტატისტიკური მაჩვენებლის მიუხედავად, იტალიის ნაკრების მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ 32 წლის ვეტერანი მაინც გამოიძახა „სკუადრა აძურას“ ბოლო თამაშის წინა შეკრებაზე, მაგრამ ვიერი დაშავდა და შთაბეჭდილება ველარ მოახდინა. ახლა ამბობენ, რომ „მონაკოში“ გადასვლა, სადაც მას თანამემამულე მარკო დი ვაიოს მხარდამხარ






AFP

კრისტიან ვიერის „მილანში“ სავარაუდოდ, მარსიო ამოროზო შეცვლის

მოუწევს თამაში — შეგახსენებთ იმასაც, რომ „მონაკოს“ იტალიელი ფრანჩესკო გვიდოლინი წვრთნის — ნაკრებში ადგილის დაბრუნების დიდებული შესაძლებლობა იქნება.

დავუბრუნდეთ გალიანის ნათქვამს: „ჩვენ „მონაკოს“ ხელმძღვანელებთან გავრიგდით. ახლა, საგრაფოში გადასასვლელად საკუთრივ ფეხბურთელმა უნდა მოაგვაროს თავისი ამბავი“.

რა თანხას სთავაზობენ მონტეკარლოში ვიერის, არც ჩვეულებრივ ყოვლისმცოდნე პრესისთვის არის ცნობილი, თუმცა, ის კი დაიწერა, რომ ორ-სამ დღეში ყველაფერი ნათელი გახდება.

გალიანი: „თუ ბობო წავა, ჩვენ ახალი თავდამსხმელის ყიდვაზე დავიწყებთ ფიქრს. ამასთან, გავრცელდა ხმა თითქოს ჩვენ და „მონაკო“ პირდაპირ გავცვლით ფორვარდებს. ეს ტყუილია, ხავიერ ჩევანტონი ჩვენ არ გვაინტერესებს. ასევე არ გვაინტერესებს ლეჩელი მირკო ვუჩინიჩიც“.

იტალიური პრესის ვარაუდით, იმ შემთხვევაში თუ ვიერი „მონაკოში“ მართლა გადავა, „მილანში“ მილებბის ყველაზე რეალური კანდიდატები იქნებიან „ფიორენტინას“ ბულგარელი ფორვარდი ვალერი ბოჟინოვი და ცნობილი ბრაზილიელი მარსიო ამოროზო, რომელიც ადრე „პარმაში“, „უდინეზეში“ და დორტმუნდის „ბორუსიაში“ გამოდიოდა, ახლა კი „სან პაულუს“ ღირსებას იცავს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „მონაკოში“ გადასვლა ვიერისთვის ნაკრებში დაბრუნების ახალი შანსის ტოლფასი იქნება. აი, რა თქვა ამასთან დაკავშირებით თავად ლიპიმ:

„მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. საფრანგეთში მის კარიერაზე დაკვირვება მე არანაირ პრობლემას არ შემიქმნის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მონაკო იტალიასთან ძალიან ახლოსაა. მერედა, მე ყოველთვის მიხარია, როდესაც ფეხბურთელს თამაშის საშუალება ეძლევა. თან, ეს წელიწადი განსაკუთრებულია და თუ შენი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდები, მართლა სხვაგან გადასვლა სჯობს. მოკლედ, ვიერის ამბავიც ისე გამიხარდება, როგორც კასანოს ამბავმა გამახარა. ხოლო „რეალში“ თამაშობს ჩემი ნაკრების კანდიდატი, „მონაკოში“ თუ „პალერმოში“, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ“.

**პაპუნა ძედია**

## იტალია

### სერია A. XVIII ტური

**მილანი 4:3 პარმა**

0:1 კანავარო (24), 1:1 კარდონე (27ს.კ.), 2:1 ჯილარდინო (29), 3:1 კაკა (36), 3:2 მარკიონი (70), 4:2 შევჩენკო (81), 4:3 მარკიონი (85)

მილანი: დიდა, შიმიჩი, ნესტა, კალაძე, სერჟინიო (კოსტაკურტა 87), გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა (რუი კოშტა 73), შევჩენკო, ჯილარდინო (ამბროზინი 75)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

პარმა: გუარდალბენი, პ. კანავარო (ბონერა 60), კარდონე, ფ. კოუტუ, კონტინი (დედიჩი 87), გრელა, ბოლანო (დესენა 60), სიმპლისიო, მარკიონი, ბრეშიანო, კორადი

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

გაფრთხილება: კარდონე, პირლო

მსაჯი: მაცოლენი

54 358 მაყურებელი

# საზიზღარი თამაში დადებითი მხარეებით

„**პარმამ**“ „მილანს“ „სან სიროზე“ შიშის საღამო მოუწყო, მაგრამ „შავ-წითელთა“ საბედნიეროდ, შვიდგოლიანი თამაში საბოლოოდ მაინც მათი გამარჯვებით დასრულდა. ამასთან, ალსანიშნავია, რომ პარმელთა კარში ოთხიდან ერთი გოლი მათმა ყოფილმა ვარსკვლავმა ალბერტო ჯილარდინომ გაიტანა.

თავდამსხმელი, რომელიც ვასულ ზაფხულს 17 მილიონ გირვანქად „პარმადან“ „მილანში“ გადავიდა, კვირა საღამოს ყოფილი თანაგუნდელების წინააღმდეგ თამაშობდა. ბარემ აქვე დავძინოთ, რომ ყოფილი პარმელებიდან მილანელთა ბანაკში, უფრო სწორად კი ამ ბანაკის სათავეში იყო მწვრთნელი კარლო ანჩელოტი.

„შავ-წითლებს“ ტრავმის გამო არ ჰყავდათ პაოლო მალდინი და მარკოს კაფუ, რის გამოც კახა კალაძე კვლავ ცენტრალური მცველის ფუნქციას ასრულებდა. „ლურჯ-ყვითლების“ კარში კი პირველად იდგა „პალერმოსგან“ ნაქირავები გოლკიპერი მატეო გუარდალბენი. ამ შეხვედრას ტოვებდა დომენიკო მორფეოც, რომელსაც ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია ახლა უკვე მოლეეული აქვს.



AFP მილანიდან

კახა კალაძეს და მის თანაგუნდელებს ბერნარდო კორადის „პარმას“ ძლევა გაუჭირდათ

პირველი მომენტი მილანელებს ჰქონდათ — ანდრეი შევჩენკომ ახლოდან სცადა დარიო შიმიჩის დარტყმულისთვის მიმართულების შეცვლა, მაგრამ ბურთი კარს გადააცილა. შემდეგ იყო და, საჯარიმოს კიდიდან კლარენს ზეედორფმა ბურთი მკერდით დაიგდო და დაჰკრა, მაგრამ უზუსტოდ. ამის შემდეგ კი, მე-15 წუთზე, უკვე „პარმას“ ჰქონდა ძალიან სახიფათო მომენტი: მარკო მარკიონიმ ასხლეტილს ისე გაჰკრა ფეხი, რომ ნელსონ დიდა იძულებული შეიქნა, სხარტი რეაქცია გამოემჟღავნებინა. მერე, სერჟინიოს ჩაწოდებულს ჯილარდინომ დაჰკრა თავი და ააცილა, თუმცა ამით გამოუყენებელი შესაძლებლობების ერა დასრულდა და დაიწყო ახალი, გოლების ეპოქა — კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ზემოთ შექებულმა დიდამ სრულიად გაუგონრად დაუგდო პაოლო კანავაროს და მანაც უპრობლემოდ შეაგდო. ასე გახსნეს ანგარიში სტუმრებმა, თუმცა სამ წუთში კაკას დაბალ პასს ჯილარდინოზე უკეთ პარმელი მცველი ჯუზეპე კარდონე გამოეხმაურა და ავტოგოლით გაათანაბრა ანგარიში. კიდევ ცოტა ხანში შევჩენკოს წამოწყებული კომბინაცია ჯილარდინომ თავით „პარმას“ კარში გატანილი გოლით დაამთავრა და თავიდან ჩამორჩენილი მასპინძლები ახლა დაწინაურდნენ, რასაც მალე საჯარიმოს მისადგომებიდან კაკას შედეგიანად დაქუხებული მოჰყვა და ანგარიშიც 3:1 შეიქნა.

შესვენების შემდეგ ისევ ჯილარდინოს ჰქონდა თავურით მორიგი გოლის გატანის შესაძლებლობა, თუმცა მომენტი და, თან ძალიან სახიფათო ჰქონდა ზემოხსენებულ კარდონესაც.

შემდეგ, „პარმას“ თავკაცმა მარიო ბერეტამ მოედანზე დანიელე ბონერა — ეს ამ ფეხბურთელის პირველი გამოჩენა იყო სამი თვის განმავლობაში — და ახალგაზრდა ნახევარმცველი დესენა შეუშვა. სხვათაშორის, უნდა აღინიშნოს, რომ აქ, „მილანმა“ კიდევ ერთი, შევჩენკოს გოლი შეაგდო, მაგრამ თანამსაჯმა სერჟინიოს ალამი ალუმართა.

და სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა პარმელთა გაყოჩალება, მილანელთა დაცვაში ჩაკეტვის ფონზე — მარკიონიმ დესენას პასი მიიღო და დაბალი დარტყმით გაუტანა დიდას.

კარლო ანჩელოტიმ მდგომარეობის გამოსასწორებლად კაკას ნაცვლად, გამთამაშებლად მანუელ რუი კოშტა შეუშვა, რომელმაც ჩვეულებისამებრ პასების დარიგებას მიჰყო ხელი და შევჩენკოს გოლიც გაატანინა, თუმცა კარი მაინც „პარმამ“ გაიჯახუნა — ისევ და ისევ მარკიონის დარტყმული დიდამ ვერ შეამაგრა.

კარლო ანჩელოტი: „მეორე ტაიმში საშინლად ვითამაშეთ. გულწრფელად ვერ ვამბობ, რა დაგვემართა, რა მოხდა. ახლა საჭიროა, სასწრაფოდ გამოვიტანოთ დასკვნები და მდგომარეობა გამოვასწოროთ, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ოთხი გოლი გავიტანეთ, რაც ამ ცუდი მატჩის დადებითი მხარეა“.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 18 | 16 | 1 | 1 | 40:10 | 49 |
| მილანი | 18 | 13 | 1 | 4 | 43:21 | 40 |
| ინტერი | 18 | 12 | 3 | 3 | 36:14 | 39 |
| ფიორენტინა | 18 | 11 | 4 | 3 | 33:18 | 37 |
| ლივორნო | 18 | 10 | 4 | 4 | 21:17 | 34 |
| კიევო | 18 | 8 | 6 | 4 | 23:20 | 30 |
| რომა | 18 | 7 | 6 | 5 | 28:20 | 27 |
| ლაციო | 18 | 7 | 6 | 5 | 25:23 | 27 |
| სამპდორია | 18 | 7 | 4 | 7 | 27:25 | 25 |
| უდინეზე | 18 | 7 | 2 | 9 | 19:25 | 23 |
| პალერმო | 18 | 5 | 7 | 6 | 25:27 | 22 |
| სიენა | 18 | 5 | 5 | 8 | 23:30 | 20 |
| რეჯინა | 18 | 5 | 4 | 9 | 18:27 | 19 |
| ემპოლი | 18 | 5 | 3 | 10 | 20:31 | 18 |
| ასკოლი | 18 | 3 | 8 | 7 | 17:24 | 17 |
| მესინა | 18 | 3 | 7 | 8 | 17:26 | 16 |
| კალიარი | 18 | 3 | 6 | 9 | 16:29 | 15 |
| პარმა | 18 | 3 | 5 | 10 | 19:32 | 14 |
| ლეჩე | 18 | 3 | 3 | 12 | 15:31 | 12 |
| ტრევიზო | 18 | 2 | 5 | 11 | 10:25 | 11 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 16 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 15 |
| ჯილარდინო (მილანი) | 12 |
| შევჩენკო (მილანი) | 10 |
| ადრიანო (ინტერი) | 10 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაურინიუ კეთილი ვერ იქნება



AFP

„**ნებისმიერს**, ვინც აქ თავს ცუდად გრძნობს, შეუძლია, წავიდეს" — ეს სიტყვები „ჩელსის" პორტუგალიელმა მწვრთნელმა და თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთმა უწარმოჩენილესმა ფიგურამ, ჟოზე მაურინიუმ ბრძანა.

კერძოდ, რა ხდება?

რა და, მსოფლიოს ჩემპიონატამდე ხუთი თვეღაა დარჩენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელებს თავიანთი ქვეყნების ნაკრებთა მწვრთნელებისთვის თავის მოსაწონებლად კლუბებში მუდმივად ძირითად შემადგენლობაში სჭირდებათ ყოფნა და როდესაც ამას ვერ ახერხებენ, ბრაზდებიან. მაგალითისთვის, შეგვიძლია შონ რაიტ-ფილიპსი, უეინ ბრიჯი, გლენ ჯონსონი და რობერტ ჰუთი ვახსენოთ. ისინი „ჩელსიში" უკმაყოფილონი არიან, მაურინიუ კი პრობლემის რამენაირად მოგვარების ნაცვლად ცივად აცხადებს, რომ უკმაყოფილოებს კი არ მოეფერება, არამედ გაყიდის.

„ვიცი, რომ უეინ ბრიჯს პრაქტიკა სჭირდება, მაგრამ „ჩელსის" სჭირდება გამარჯვება. მე სიტყვას არ გავტეხ და რაც ბიჭებს ვუთხარი, შევასრულებ. ჩემ გუნდს გუნდად შევინახავ, მაგრამ თუ ამ ხალხში ვინმე უკმაყოფილო გამოერევა, მას გავუშვებ" — ამბობს პორტუგალიელი და დასძენს — „ჩელსიში" ასეა, მწვრთნელი წყვეტს, მის ხელთ არსებული ფეხბურთელებისგან ამა თუ იმ მატჩში სათამაშოდ რომელია უკეთ მომზადებული. ცხადია, მე მინდა ბრიჯს დავეხმარო. ის კარგი მოთამაშეა და სათამაშო პრაქტიკა ძალიან წაადგებოდა, მაგრამ თუ დავინახავ, რომ გალასი ან დელ ორნო მასზე კარგად არიან მზად, სიკეთის გამო გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ".

**პაპუნა ძიძია**

*მინორ ლიგის კლუბმა „ბარტონ ალბიონმა" ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე არც მეტი ,არც ნაკლები, „მანჩესტერ იუნაიტედთან" (მერე რა, რომ მეორე შემადგენლობასთან) ითამაშა 0:0 და... განმეორებითი მატჩისგან ახლა 1,4 მილიონი დოლარის ტოლფას შემოსავალს ელის*

# 1,4 მილიონს პლუს ოცნება

**ზემოთ** ნახსენები გუნდები ახლა ერთმანეთს „ოლდ ტრეფორდზე" 18 იანვარს უნდა შეხვდნენ.

„ეს ლატარიის მოგებას ჰგავდა" — განაცხადა „ბარტონ ალბიონის" შეფმა ბენ რობინსონმა ტელეკომპანია „სკაი სპორტთან" საუბარში. საინტერესოა, რომ ბატონი რობინსონის თქმით, მის გუნდს მოგებაც კი შეეძლო:

„ჩვენ ამ თამაშის 1:0 მოგება შეგვეძლო და ამ შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე გავიდოდით, მაგრამ ეს სენსაციური შედეგი სავარაუდოდ, რომელიმე ნონ ლიგის გუნდთან შეხვედრას მოგვიტანდა და მეტს არაფერს, ფრე კი როგორც ხედავთ, უდიდეს შემოსავალს გვაძლევს. ფაქტია, რასაც ვამბობ პირწმინდად კომერციული, ანგარიშიანი სიტყვებია, რომელსაც ფეხბურთთან არ აქვს კავშირი, მაგრამ ასეა, 0:0 ჩვენთვის ყველაზე მომგებიანი ანგარიში გახლდათ. იმ შეხვედრის ბოლო წამზე ჩემს ფეხბურთელებს მომენტი რომ გამოეყენებინათ, მოვიგებდით და ეს მათთვის იქნებოდა უდიდესი მიღწევა, მაგრამ ახლა მეორე თამაში იქნება და შესაბამისად, იქნება ახალი შანსიც. „ოლდ ტრეფორდი" ხომ ოცნებათა თეატრია და ჩვენ სწორედ ამ სარბიელზე მოგვიწევს თამაში. 18 იანვარს ჩვენთვის, ჩვენი ფანებისა და სპონსორებისთვის დიდებული საღამო იქნება. თანხა, რომელსაც სავარაუდოდ, ჩვენ მივიღებთ, 800 ათას გირვანქაზე მეტი იქნება, რაც ჩვენი მასშტაბის გუნდისთვის უდიდესი რამ არის".




წინ „ოლდ ტრეფორდისკენ" — პატარა „ბარტონი" გამდიდრდა

როგორც რობინსონმა თქვა, თანხის ნაწილი ივლისში გახსნილი ახალი „პირელი სტედიუმის" დანატოვარი ვალების გასწორებაზე წავა.

აღსანიშნავია, რომ „ბარტონ ალბიონს" „ნოტინგემ ფორესტის" მწვრთნელის, ბრაიან კლაფის შვილი ნაიჯელი წვრთნის.

„ოცნება კი კვლავ ცოცხლობს და ეს დიდებულია" — განაცხადა საბოლოოდ ზემოხსენებულმა ბენ რობინსონმა.

**პაპუნა ძიძია**

# იყიდება



1998 წელს გამოშვებული VOLKSWAGEN PASSAT 1.9 TDI ძრავით, ნორმალურ მდგომარეობაში, 2000 წელში ჩამოყვანილი.
ფასი შეთანხმებით. ტელ: 8 99 90 08 68



# ფარული გაზა
## დიადი ჯორდის ნიღაბი და გული

*შაბათს, სათასო თამაშში 35 წლის ალან შირერმა თავისი მე-200 ნიუკასლური გოლი გაიტანა, რითაც დაამხო ჯეკი მილბერნის ლეგენდარული რეკორდი. ვინ არის ალან შირერი, ისედაც ყველამ იცის, მისმა ყოფილმა თანაგუნდელმა და ახლო წარსულის ცნობილმა ფეხბურთელმა რობ ლიმ კი, ვინც შირას ახლო მეგობარიც არის, ერთი პატარა სტატია გამოაცხო იმის თაობაზე, როგორი მოთამაშეა ჯორდების მეცხრე ნომერი. ჰოდა, რობ ლი ამბობს:*

„**ის საუკეთესოა.** ის საუკეთესოა იმ დღიდან, რაც პრემიერლიგა არსებობს. ეს არ არის სადაო საკითხი. ის უკანასკნელია ინგლისში, ძველი ყაიდის ცენტრფორვარდების დარად რომ თამაშობს. ახლა უფრო ტიერი ანრის ტიპის, კონტინენტური სტილის მეგოლეთა ჟამი დგას.

მაგრამ ამჟამად, ინგლისის ნაკრებში არ არის კაცი, ვინც ბოლომდე შეცვლიდა შირერს. ნაკრების ერთ-ერთი პრობლემაც ეს არის.

მისი გოლების ოდენობაზე არაფერს ვიტყვი. ის აგრესიულია, ის ლიდერია და მასზე უკეთ ძნელად რომ ვინმე ფლობდეს ბურთს. ამ ტიპის და გაქანების ცენტრფორვარდები ახლა აღარ არიან.

მას ყველაფერი შეეძლო ახალგაზრდობაში. ის სწრაფი იყო და თავით და ფეხით ლამის ერთნაირად თამაშობდა. ახლა აღარავის ახსოვს, მაგრამ როცა ფლანგზე აღმოჩნდებოდა, ბექჰემზე არანაკლებ აწვდიდა ბურთს.

როგორც ყოველ ჩვენგანს, მასაც მოაწვა ასაკი, მაგრამ მან მაქსიმუმი გამოწოვა ამ ასაკიდან.

ალანს ყველანაირი გოლები გააქვს.

ხასიათით ის ნამდვილი ჯორდია: ოჯახი და ხუმრობა უყვარს. ეგებ დიდ უცნაურობას ვამბობ, მაგრამ ძალიან ჰგავს სხვა დიდ ჯორდს, გაზას.

თუმცა, გაზასგან განსხვავებით, მან თავის კონტროლი ისწავლა და მედიასთან ურთიერთობაც. ყოველთვის იცის რას ამბობს და არასოდეს იტყვის ორაზროვნად. ამიტომ მედიისთვის ის მხოლოდ ფეხბურთელია.

მან მოახერხა და ინტელიგენტური იერი შეიძინა, მაგრამ აბა, გვკითხეთ მის მეგობრებსა და ოჯახს, და ჩვენ გეტყვით, ის აუტანელი, ოხუნჯი და ეშმაკის ფეხია.

ის ხუმრობს, მაგრამ როცა საქმე იწყება, ის ძალიან სერიოზული ხდება.

მართლა ძალიან ღადო კაცია, ოღონდ ამისა არავის სჯერა.

როცა ალანი „ნიუკასლში" გადმოვიდა, ინგლისის წლის ფეხბურთელად ლეს ფერდინანდი იყო დასახელებული. ის იყო ჩვენი მთავარმეგოლე და თითქოს შირა მის ჩრდილში უნდა ყოფილიყო. სულ მალე მიხვდი რომ შირა-ფერდინანდის წყვილი საუკეთესო იყო იმათ შორის, ვინც კი მინახავს. ორივე ჯანიანი, სწრაფი და გამტანი იყო და ერთმანეთსაც ძალიან კარგად შეეწყვნენ. სამწუხაროდ, ჩვენი მწვრთნელი კევინ კიგანი ამ წყვილის შედგენიდან მალე წავიდა გუნდიდან, რის გამოც მგონია, რომ მათ ბოლომდე მაინც ვერ გამოავლინეს თავი. ერთი სეზონი ითამაშეს მხარდამხარ და ჯამში 50 გოლი გაიტანეს.

წარმოიდგინეთ, ტანდემი რომ გაგრძელებულიყო...

ალანს წარმოუდგენლად უნდა, რომ რამე მოიგოს „ნიუკასლთან" ერთად. ცხოვრებაში ერთი-ორი ჯილდო აქვს — „ბლექბერნის" ჩემპიონობა, პირადი პრიზები ბევრი მიუღია, გუნდური კი ვერა.

ის უკვე ლეგენდაა „ნიუკასლისთვის". უამრავი გაუხმაურებელი მიწვევა ჰქონია, მაგრამ აქაურობა უყვარს და ჯორდებიც ძალიან უფასებენ ამას. იმისთვის რომ აქ გადმოსულიყო, თვით „მანჩესტერ იუნაიტედს" უთხრა უარი. ახლაც რომ ჰკითხო, გეტყვის, არ ვნანობო.

ის „ნიუკასლის" ქომაგია".

*„ბიანკი წაეთრიე“ — ხმის ჩახლეჩამდე სკანდირებდნენ მადრიდის „ატლეტიკოს“ ინჩასები „ვალენსიასთან“ უგოლო მატჩის მერე*

# ბიანკიმ ინჩასები გადარია



**მერვე** ტურიდან მოყოლებული, „ათლეტებს“ გამარჯვების სიხარული არ უნახავთ — ან ფრე, ან წაგება. კვირას მადრიდულ „ვისენტე კალდერონზე“ კარლოს ბიანკის გუნდმა „ვალენსიას“ უმასპინძლა, მორიგი 0:0-ით „იხეირა“ და ინჩასთა მოთმინების ფიალაც შეავსო. გაცოფებულმა ფანებმა არგენტინელ მწვრთნელს ბოთლებისა და სხვადასხვა საგნების სეტყვა დააყარეს და უშვერი ლანძღვა-გინებაც არ დააკლეს.

„ხალხს თავისი სურვილის გამოთქმა თავისუფლად შეუძლია და მეც სტადიონზე ღრიალს ვერავის ავუკრძალავ. „ვალენსიასთან“ თამაში უნდა მოგვეგო, სტუმრები სამი ქულის დაკარგვას შემთხვევით გადაურჩნენ. ჩემი გუნდიდან წასვლა კი, არა გულშემატკივართა, არამედ „ატლეტიკოს“ პრეზიდენტის გადასაწყვეტია“ — განაცხადა თავად ბიანკიმ.

„ატლეტიკო“ პრიმერას ცხრილში ახლა მეთორმეტე გახლავთ და მორიგ ტურში სევილიურ „ბეტისთან“ უწევს შერკინება.

**ლადო ხომერიკი**

# ვიქტორი და ივანი
## ისინი ასიანები არიან



ვიქტორ ვალდესი

**„ბარსელონას“** მეკარემ ვიქტორ ვალდესმა და „ესპანიოლის“ ნახევარმცველმა ივან დე ლა პენიამ გასულ შაბათს „მონჟუიკზე“ გამართულ ბარსელონურ დერბიში თავიანთი გუნდების მაისურით საიუბილეო, მეასე მატჩი ითამაშეს.

ვალდესის დებიუტი პრიმერადივიზიონში 2002 წლის 1 სექტემბერს მადრიდის „ატლეტიკოსთან“ შედგა. თავის პირველ სეზონში ძირითად შემადგენლობაში 14 მატჩი ჩაატარა, ხოლო მომდევნო ჩემპიონატში „ბარსას“ კარი 33-ჯერ დაიცვა. შარშანდელ სეზონში ვალდესმა 35 მატჩში მიიღო მონაწილეობა. თან პრიმერას გუნდების მეკარეთა შორის ყველაზე ნაკლები გოლიც გაუშვა.

დე ლა პენიას საფეხბურთო გზა კი გაცილებით უფრო მდიდარია. პრიმერაში პირველი მატჩი ივანს კარგა ხნის წინ, 1995 წლის 3 სექტემბერს „ბარსას“ შემადგენლობაში გაუმართავს. სამი სეზონის მერე რომის „ლაციოში“ გადავიდა, იქიდან ფრანგულ „მარსელში“, შემდეგ ისევ „ბარსელონაში“ დაბრუნდა და 2002 წელს უკვე „ესპანიოლს“ მიაკითხა. ასეულის ათვლაც იმავე სეზონში დაიწყო — 2002-ის 21 სექტემბერს ივან დე ლა პენია თავის ახალ გუნდთან ერთად ძველს, „ბარსელონას“, საომრად „კამპ ნოუზე“ მიუხდა. მოკლედ, 29 მატჩი 2002-03-ში, 25 თამაში 2003-04-ის სეზონში, 29 შარშან და 17 ამ სეზონში — „ესპანიოლს“ დე ლა პენიას სახით ღირსეული იუბილარი ჰყავს.

**ლადო ხომერიკი**

# ლარსონი მიდის



**კატალონიური** „ბარსელონას“ შვედი ფორვარდი ჰენრიკ ლარსონი ივნისში გუნდის დატოვებას აპირებს. გაზეთ „მარკას“ ცნობით, სკანდინაველი ამის შესახებ „ბარსას“ პრეზიდენტ ხუან ლაპორტასა და მწვრთნელ ფრანკ რაიკარდსაც ესაუბრა.

„კარიერას ალბათ სამშობლოში, რომელიმე შვედურ გუნდში დავასრულებ. ეს ჩემთვისაც კარგი იქნება და ჩემი ოჯახისთვისაც“ — მოკლედ განაცხადა ლარსონმა.

მოგეხსენებათ, გლაზგოს „სელტიკის“ ყოფილი ფეხბურთელი „ბარსაში“ კამერუნელი სამუელ ეტოოს ჩრდილში მოექცა, გახშირებულმა ტრავმებმაც გააწამა და ძირითად შემადგენლობაშიც სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდება.

ჰენრიკ ლარსონის შეძენით სხვა ევროპული კლუბებიც ყოფილან დაინტერესებული, მაგალითად, „ნიუკასლი“, დორტმუნდის „ბორუსია“, პრაღის „სპარტა“ და იგივე „სელტიკი“.

**ლადო ხომერიკი**

# ზიდანმა, ბარსელონა დაივიწყეთ!



**მადრიდის** „რეალის“ ფრანგი ვარსკვლავი ზინედინ ზიდანი თანაგუნდელებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს.

მოგეხსენებათ, ზიზუს გუნდი ახლა ესპანურ პრიმერადივიზიონში ოდენ მეექვსე ადგილზეა და „ვილიარეალთან“ საკვირაო უგოლო ფრის შემდეგ „მარადიულ მტერს“, კატალონიურ „ბარსელონას“ მთელი 13 ქულით ჩამორჩება, მაგრამ ყოჩაღი ფრანგი იხტიბარს არ იტეხს.

„თუ საქმის კეთება გვინდა, კატალონიელები უნდა დავივიწყოთ. ახლანდელ ვითარებაში უფრო მომგებიანი იქნება, მომდევნო ტურის მეტოქეზე ვიფიქროთ. „ვილიარეალთან“ მშვენივრად ვითამაშეთ, თუმც საწყენია, რომ რამდენიმე ხელსაყრელი საგოლე ეპიზოდი ვერ გამოვიყენეთ. ახლა მხოლოდ სიმშვიდეა საჭირო, ბრწყინვალე შემადგენლობა გვყავს და, დარწმუნებული ვარ, სეზონის ბოლომდე ბევრ გამარჯვებას მივაღწევთ“ — უთხრა ზიდანმა მადრიდულ „ასს“.

თანაგუნდელის დარად, ბრაზილიელი ჟულიო ბაპტისტაც ოპტიმისტურად ლაპარაკობს: „ვილიასთან“ მატჩში რონალდო დაიმტვრა, მოედანზე მისი არყოფნა კი გვაზარალებს, თუმც „რეალი“ უახლოეს თამაშებში თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. „ბარსასთან“ ქულებში სხვაობა მალე შემცირდება“.

**ლადო ხომერიკი**

# ტევესი ინტერში 25 მილიონად



**ბრაზილიური** „კორინთიანსის“ არგენტინელი თავდამსხმელი კარლოს ტევესი ზაფხულში ალბათ მილანის „ინტერში“ გადავა.

„ტევესის“ სატრანსფერო ფასი 25 მილიონი ევროა. „ინტერიდან“ უკვე დაგვიკავშირდნენ და იტალიელებთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ“ — განუცხადა ბრაზილიელ ჟურნალისტებს ანდრეს სანჩესმა, „კორინთიანსის“ ვიცე-პრეზიდენტმა.

პატაგონიელმა „კარლიტომ“ შარშან თავისი კლუბის ჩემპიონობისთვის შეუპოვრად იბრძოლა და „კორინთიანსის“ ლიდერიც გახდა. მიუხედავად ამისა, ტევესს ფიცხი ხასიათის გამო გუნდის უფროსობასთან არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს. „ინტერისთვის“ ამიტომაც იმეტებენ — დიდი გუნდი გვყავს და კარლოს ტევესის შემცვლელსაც რამენაირად გამოვძებნითო, უთქვამს ანტონიო ლოპესს, „კორინთიანსის“ მწვრთნელს.

**ლადო ხომერიკი**

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი
### XVIII ტური

**ატლეტიკო 0:0 ვალენსია**

**ატლეტიკო:** ფალკონი, ველასკო, პერეა, პაბლო, ანტონიო ლოპესი, კოლსა, ზაინოსი, მარიო, იბაგასა, მ. პეტროვი (მაქსი როდრიგესი 70), ფ. ტორესი
მწვრთნელი: კარლოს ბიანკი
**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, ალბიოლი, მარჩენა, მორეტი, ანგულო (რუფეტე 83), ფ. აურელიო, ალბელდა, ვისენტე (რეგუერო 70), აიმარი (მისტა 64), ვილია
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
გაფრთხილება: ველასკო, ტორესი
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 18 | 13 | 4 | 1 | 45:15 | 43 |
| ოსასუნა | 18 | 12 | 3 | 3 | 26:17 | 39 |
| ვალენსია | 18 | 9 | 6 | 3 | 26:17 | 33 |
| დეპორტივო | 18 | 9 | 5 | 4 | 26:17 | 32 |
| ვილიარეალი | 18 | 8 | 7 | 3 | 25:16 | 31 |
| რეალი | 18 | 9 | 3 | 6 | 29:19 | 30 |
| სევილია | 18 | 8 | 5 | 5 | 20:14 | 29 |
| სელტა | 18 | 9 | 2 | 7 | 19:21 | 29 |
| სარაგოსა | 18 | 5 | 9 | 4 | 22:22 | 24 |
| ხეტაფე | 18 | 7 | 3 | 8 | 23:24 | 24 |
| სოსიედადი | 18 | 6 | 3 | 9 | 26:35 | 21 |
| ატლეტიკო | 18 | 4 | 8 | 6 | 18:19 | 20 |
| რასინგი | 18 | 4 | 8 | 6 | 15:21 | 20 |
| ესპანიოლი | 18 | 4 | 6 | 8 | 16:23 | 18 |
| მალაგა | 18 | 4 | 5 | 9 | 23:26 | 17 |
| კადისი | 18 | 4 | 5 | 9 | 12:21 | 17 |
| მალიორკა | 18 | 4 | 5 | 9 | 17:29 | 17 |
| ბეტისი | 18 | 3 | 7 | 8 | 14:25 | 16 |
| ბილბაო | 18 | 3 | 6 | 9 | 19:25 | 15 |
| ალავესი | 18 | 2 | 6 | 10 | 14:29 | 12 |

## პორტუგალია
### სუპერლიგა. XVII ტური

ბელენენსეში — ჟილ ვისენტე 0:2; ნასიონალი — სეტუბალი 2:2; ბრაგა — სპორტინგი 3:2; მარიტიმუ — აკადემიკა 2:2; ნავალი — პენაფიელი 4:0; ამადორა — გიმარაეში 2:0; ბენფიკა — ფერეირა 2:0; პორტუ — ბოავიშტა 1:0. *რიუ ავე — ლეირია წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 17 | 12 | 4 | 1 | 29:10 | 40 |
| ბენფიკა | 17 | 10 | 4 | 3 | 25:12 | 34 |
| ნასიონალი | 17 | 10 | 4 | 3 | 22:9 | 34 |
| ბრაგა | 17 | 10 | 2 | 5 | 19:11 | 32 |
| სეტუბალი | 17 | 9 | 3 | 5 | 14:7 | 30 |
| სპორტინგი | 17 | 9 | 3 | 5 | 25:19 | 30 |
| ბოავიშტა | 17 | 5 | 8 | 4 | 21:18 | 23 |
| მარიტიმუ | 17 | 5 | 7 | 5 | 20:20 | 22 |
| ამადორა | 17 | 6 | 4 | 7 | 14:15 | 22 |
| ლეირია | 16 | 6 | 3 | 7 | 20:21 | 21 |
| ფერეირა | 17 | 6 | 3 | 8 | 18:22 | 21 |
| ბელენენსეში | 17 | 6 | 2 | 9 | 16:19 | 20 |
| რიუ ავე | 16 | 5 | 5 | 6 | 20:24 | 20 |
| ჟილ ვისენტე | 17 | 6 | 2 | 9 | 15:19 | 20 |
| აკადემიკა | 17 | 5 | 4 | 8 | 16:23 | 19 |
| ნავალი | 17 | 4 | 2 | 11 | 18:27 | 14 |
| გიმარაეში | 17 | 4 | 2 | 11 | 9:25 | 14 |
| პენაფიელი | 17 | 1 | 4 | 12 | 11:31 | 7 |

### II დივიზიონი. XVII ტური

შავეში — კოვილია 0:0; ავეში — ეშტორილი 2:1; გონდომარი — ვიზელა 2:4; ბარეირენსე — ლეიშოეში 0:2; ბეირა მარი — ოვაირენსე 2:0; მორეირენსე — მაია 0:1; ოლიალენსე — სანტა კლარა 2:0; პორტიმონენსე — მარკუ 3:0; ვარზიმი — ფეირენსე 1:0

## საბერძნეთი
### ეროვნული ლიგა
### XV ტური

პანიონიოსი — ეგალეო 0:1; პანათინაიკოსი — ლარისა 3:0; ქსანთი — აეკ 0:0; ლევადიაკოსი — ოფი 1:0; კალითეა — ირაკლისი 0:0; იონიკოსი — ოლიმპიაკოსი 0:1; ატრომიტოსი — აკრატიტოსი 2:0. *კალამარია — პაოკ წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 15 | 13 | 0 | 2 | 32:7 | 39 |
| აეკ | 15 | 11 | 3 | 1 | 21:7 | 36 |
| პანათინაიკოსი | 15 | 9 | 3 | 3 | 24:12 | 30 |
| ქსანთი | 15 | 7 | 4 | 4 | 19:14 | 25 |
| პაოკ | 14 | 6 | 5 | 3 | 23:13 | 23 |
| ირაკლისი | 15 | 6 | 4 | 5 | 16:17 | 22 |
| ატრომიტოსი | 15 | 6 | 3 | 6 | 17:16 | 21 |
| იონიკოსი | 15 | 4 | 7 | 4 | 20:20 | 19 |
| ეგალეო | 15 | 4 | 7 | 4 | 12:17 | 19 |
| ლარისა | 15 | 4 | 5 | 6 | 16:20 | 17 |
| კალამარია | 14 | 4 | 3 | 7 | 12:19 | 15 |
| ლევადიაკოსი | 15 | 3 | 5 | 7 | 10:15 | 14 |
| ოფი | 15 | 2 | 6 | 7 | 9:19 | 12 |
| პანიონიოსი | 15 | 3 | 3 | 9 | 11:24 | 12 |
| აკრატიტოსი | 15 | 2 | 4 | 9 | 8:19 | 10 |
| კალითეა | 15 | 1 | 6 | 8 | 11:22 | 9 |

## ბელგია
### II კლასი
### XVI ტური

ანტვერპენი — სენტ ჟილი 1:2; მეხელენი — ლომელი 2:2; ტუბიცე — მონსი 1:2; დეხელი — ვირტონი 0:2; ჰეუსდენი — გეელი 1:1; ოდ ევერლე — ვაასლანდი 2:3; რონსე — ოსტენდე 0:3

სარბიელი და კროკი

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 16:45 | 1 | სიტი-მანჩესტერი | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 19:00 | 3 | არსენალი-მიდლსბრო | 1.35 | 4.50 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.88 |
| 19:00 | 5 | ასტონ ვილა-ვესტ ჰემი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 19:00 | 6 | ჩარლტონი-ბირმინგემი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 19:00 | 7 | ფულემი-ნიუკასლი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 8 | ლივერპული-ტოტენჰემი | 1.65 | 3.40 | 4.75 | 1.11 | 1.22 | 1.98 |
| 19:00 | 10 | პორტსმუთი-ევერტონი | 2.30 | 3.10 | 2.85 | 1.32 | 1.27 | 1.48 |
| 21:15 | 11 | ბლექბერნი-ბოლტონი | 2.15 | 3.10 | 3.10 | 1.26 | 1.26 | 1.54 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 17:30 | 12 | უიგანი-ვესტ ბრომვიჩი | 1.70 | 3.30 | 4.70 | 1.12 | 1.24 | 1.93 |
| 20:00 | 13 | სანდერლენდი-ჩელსი | 10.00 | 5.20 | 1.20 | 3.42 | 1.07 | 1.00 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 27 | როტერჰემი-პორტ ვეილი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 28 | სკანთორპი-ჰადერსფილდი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 23:45 | 29 | სუონსი-დონსი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 575 | ბარნეტი-ჩელტენემი | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 23:45 | 576 | პიტერბრო-ოქსფორდი | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 55 | ტემუორთი-აკრინგტონი | 4.00 | 3.30 | 1.80 | 1.80 | 1.24 | 1.16 |
| 23:45 | 56 | იორკი-სტივენეიჯი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.31 | 1.25 | 1.54 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 57 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.25 | 4.60 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.04 |
| 19:00 | 60 | დანფერმლაინი-ჰართსი | 5.30 | 3.70 | 1.55 | 2.17 | 1.19 | 1.09 |
| 19:00 | 62 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| 19:00 | 64 | ინვერნესი-ლივინგსტონი | 1.70 | 3.50 | 4.30 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 19:00 | 59 | დანდი იუნ.-ფოლკირკი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 65 | მოზერუელი-რეინჯერსი | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 127 | ბეტისი-ატლეტიკო | 2.00 | 3.10 | 3.45 | 1.21 | 1.26 | 1.63 |
| 23:45 | 135 | ვალენსია-ოსასუნა | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 125 | ბარსელონა-ბილბაო | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 20:00 | 129 | ხეტაფე-სელტა | 2.10 | 3.00 | 3.20 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 130 | დეპორტივო-ალავესი | 1.40 | 4.20 | 6.50 | 1.04 | 1.15 | 2.55 |
| 20:00 | 131 | მალაგა-კადისი | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 23:45 | 132 | რეალი-სევილია | 1.45 | 3.80 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 20:00 | 133 | რასინგი-ვილიარეალი | 2.95 | 3.00 | 2.25 | 1.48 | 1.27 | 1.28 |
| 20:00 | 134 | სოსიედადი-ესპანიოლი | 1.95 | 3.10 | 3.75 | 1.19 | 1.28 | 1.69 |
| 20:00 | 136 | სარაგოსა-მალიორკა | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 იანვარი** | | | | | | |
| 21:15 | 148 | ბორდო-ოსერი | 2.00 | 2.90 | 3.90 | 1.18 | 1.32 | 1.66 |
| 23:30 | 149 | აიაჩო-ნანტი | 2.50 | 2.80 | 3.00 | 1.32 | 1.36 | 1.44 |
| 23:30 | 150 | ლანსი-ნანსი | 1.60 | 3.30 | 5.80 | 1.07 | 1.25 | 2.10 |
| 23:30 | 152 | მეცი-სტ.ეტიენი | 2.55 | 2.90 | 2.75 | 1.35 | 1.32 | 1.41 |
| 23:30 | 153 | მონაკო-სტრასბური | 1.40 | 3.80 | 7.50 | 1.02 | 1.17 | 2.52 |
| 23:30 | 154 | რენი-ლე მანი | 1.75 | 3.20 | 4.60 | 1.13 | 1.26 | 1.88 |
| 23:30 | 155 | სოშო-ნიცა | 2.15 | 2.90 | 3.50 | 1.23 | 1.33 | 1.58 |
| 23:30 | 156 | ტრუა-ლილი | 2.65 | 2.80 | 2.80 | 1.36 | 1.36 | 1.39 |
| 23:45 | 157 | ლიონი-მარსელი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| | | **12 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 159 | ტულუზი-პსჟ | 2.85 | 2.90 | 2.45 | 1.43 | 1.31 | 1.32 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 173 | ბასტია-ამიენი | 1.65 | 3.10 | 5.50 | 1.07 | 1.26 | 1.98 |
| 23:30 | 174 | კაენი-რეიმსი | 1.70 | 3.10 | 5.00 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| 23:30 | 175 | დიჟონი-ლავალი | 1.90 | 2.90 | 4.20 | 1.14 | 1.30 | 1.71 |
| 23:30 | 176 | გენიონი-კრეტეი | 2.25 | 2.80 | 3.30 | 1.24 | 1.33 | 1.51 |
| 23:30 | 177 | ისტრი-სეტე | 1.75 | 3.00 | 4.80 | 1.10 | 1.28 | 1.84 |
| 23:30 | 178 | მონპელიე-შატორუ | 2.20 | 2.80 | 3.40 | 1.23 | 1.33 | 1.53 |
| 23:30 | 179 | ლორიანი-გენგამი | 1.85 | 2.90 | 4.50 | 1.12 | 1.31 | 1.76 |
| | | **11 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 180 | გრენობლი-ვალენსიენი | 2.30 | 2.80 | 3.20 | 1.26 | 1.33 | 1.49 |
| 23:30 | 181 | ლე ავრი-ბრესტი | 2.10 | 2.80 | 3.70 | 1.20 | 1.33 | 1.59 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

### ჰოლანდია. I დივიზიონი

**11 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:00 | 210 | ბრედა-ვალვაიკი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:00 | 211 | ტილბურგი-ჰერაკლესი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |

### ინგლისი. თასი

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 276 | უიგანი-არსენალი | 3.20 | 3.30 | 2.05 | 1.62 | 1.24 | 1.26 |

**11 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 275 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 3.90 | 3.30 | 1.85 | 1.78 | 1.25 | 1.18 |

### შოტლანდია. თასი

**11 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 577 | ლივინგსტონი-ალოა | 1.15 | 5.10 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 3.57 |

### ესპანეთი. თასი

**11 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 285 | ბარსელონა-ზამორა | 1.05 | 8.50 | 18.00 | 1.00 | 1.00 | 5.77 |
| 23:00 | 286 | ბეტისი-სელტა | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 23:45 | 287 | ესპანიოლი-ხეტაფე | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 23:00 | 288 | ოსასუნა-დეპორტივო | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 23:00 | 290 | სევილია-კადისი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 23:45 | 291 | ვალენსია-ვილიარეალი | 1.90 | 3.30 | 3.80 | 1.20 | 1.26 | 1.76 |

**12 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 289 | რეალი-ბილბაო | 1.40 | 4.00 | 6.80 | 1.03 | 1.16 | 2.51 |

### პორტუგალია. თასი

**11 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 293 | ავეში-ბრაგა | 4.20 | 3.30 | 1.80 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 19:00 | 294 | გიმარაეში-ეშტორილი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:00 | 295 | ნავალი-პორტუ | 5.50 | 3.60 | 1.55 | 2.17 | 1.20 | 1.08 |
| 23:45 | 296 | სპორტინგი-ვიზელა | 1.15 | 6.50 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.21 |

### საბერძნეთი. თასი

**12 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 298 | კალამარია-ოლიმპია | 2.50 | 3.00 | 2.55 | 1.36 | 1.26 | 1.37 |

### იტალია.თასი

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 280 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 18:00 | 281 | პალერმო-ბარი | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |

**11 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 277 | ბრეშა-მილანი | 4.70 | 3.50 | 1.65 | 2.00 | 1.22 | 1.12 |
| 20:00 | 282 | რომა-ნაპოლი | 1.40 | 4.20 | 6.50 | 1.04 | 1.15 | 2.55 |
| 23:30 | 283 | სამპდორია-კალიარი | 1.60 | 3.30 | 5.50 | 1.07 | 1.23 | 2.06 |
| 20:30 | 284 | უდინეზე-ატალანტა | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |

**12 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:30 | 278 | ჩიტადელა-ლაციო | 4.70 | 3.50 | 1.65 | 2.00 | 1.22 | 1.12 |
| 23:45 | 279 | ინტერი-პარმა | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ჰოკეი. შვედეთი

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 450 | ფერიესტადი-მორა | 1.40 | 4.70 | 4.50 | 1.07 | 1.06 | 2.29 |
| 22:00 | 451 | სიოდერტელიე-ლინჩიოპინგი | 2.80 | 4.40 | 1.80 | 1.71 | 1.09 | 1.27 |

### ჰოკეი. ფინეთი

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:30 | 459 | იოკერიტი-ჰელსინკი | 2.10 | 4.10 | 2.20 | 1.38 | 1.07 | 1.43 |

### ჰოკეი. ჩეხეთი

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 476 | ზლინი-პარდუბიცე | 1.95 | 4.10 | 2.50 | 1.32 | 1.09 | 1.55 |
| 20:00 | 477 | ვიტკოვიცე-ტრჟინეცი | 1.60 | 4.40 | 3.30 | 1.17 | 1.07 | 1.88 |
| 20:30 | 478 | პლზენი-კლადნო | 1.75 | 4.20 | 2.90 | 1.23 | 1.09 | 1.71 |
| 20:30 | 479 | ბუდეიოვიცე-ზნოიმო | 2.10 | 4.10 | 2.30 | 1.38 | 1.09 | 1.47 |
| 20:30 | 480 | კარლოვი ვარი-ლიტვინოვი | 1.75 | 4.20 | 2.60 | 1.23 | 1.04 | 1.60 |
| 21:30 | 481 | ლიბერეცი-ვსეტინი | 1.20 | 4.80 | 6.50 | 1.00 | 1.01 | 2.76 |
| 22:00 | 482 | სლავია-სპარტა | 1.60 | 4.50 | 3.10 | 1.18 | 1.05 | 1.83 |

### ჰოკეი. სლოვაკეთი

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 497 | ტრენჩინი-სლოვანი | 1.70 | 4.20 | 2.90 | 1.21 | 1.07 | 1.71 |
| 20:00 | 498 | ნიტრა-ზვოლენი | 1.80 | 4.20 | 2.80 | 1.25 | 1.09 | 1.67 |
| 20:00 | 499 | ჟილინა-მარტინი | 1.50 | 4.40 | 3.90 | 1.11 | 1.08 | 2.06 |
| 20:00 | 500 | პოპრადი-სკალიცა | 1.45 | 4.50 | 4.20 | 1.09 | 1.07 | 2.17 |
| 20:00 | 501 | კოშიცე-მიკულაში | 1.35 | 4.50 | 4.80 | 1.03 | 1.05 | 2.32 |

### ჰოკეი. გერმანია

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 512 | კიოლნი-დუისბურგი | 1.35 | 4.60 | 4.90 | 1.04 | 1.05 | 2.37 |
| 22:30 | 513 | კასელი-აისბარენი | 2.60 | 4.20 | 1.85 | 1.60 | 1.08 | 1.28 |
| 22:30 | 514 | ინგოლშტადი-ფრანკფურტი | 1.70 | 4.50 | 2.85 | 1.23 | 1.06 | 1.74 |
| 22:30 | 515 | ჰამბურგი-მანჰაიმი | 1.90 | 4.30 | 2.50 | 1.31 | 1.07 | 1.58 |

### ჰოკეი. შვეიცარია

**11 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 530 | კლოტენი-დავოსი | 2.10 | 4.20 | 2.20 | 1.39 | 1.07 | 1.44 |

### ჰოკეი. რუსეთი

**10 იანვარი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13:00 | 544 | მაგნიტოგორსკი-ნეფტეხიმიკი | 1.15 | 5.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 2.82 |
| 13:00 | 545 | ცსკა-სპარტაკი | 1.55 | 4.60 | 3.40 | 1.15 | 1.06 | 1.95 |
| 13:00 | 546 | აკ ბარსი-ასკ | 1.35 | 4.60 | 4.50 | 1.04 | 1.03 | 2.27 |
| 13:00 | 547 | დინამო-ხიმიკი | 1.55 | 4.40 | 3.00 | 1.14 | 1.02 | 1.78 |
| 13:00 | 548 | ავანგარდი-სევერსტალი | 1.30 | 4.50 | 4.00 | 1.00 | 1.00 | 2.11 |
| 13:00 | 549 | ლოკომოტივი-სიბირი | 1.30 | 4.60 | 4.90 | 1.01 | 1.02 | 2.37 |

# მანო, მოედანზე გამო...

## ბოისას სლოვენიური პასპორტი იტალიაში გამოადგა

**გვარიანი** შესვენების შემდეგ მანუჩარ მარკოიშვილი მოედანს დაუბრუნდა. სლოვენიის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში მტკივანი ფეხით გარჯა მანოს ძვირად დაუჯდა. სექტემბერში გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ის გუშინწინ პირველად გავიდა მოედანზე „ოლიმპიის“ მაისურით.

მოედანზე დაბრუნება ხანმოკლე გამოდგა და ეს არცაა გასაკვირი. ლამის ხუთთვიანი შესვენების შემდეგ მარკოიშვილს ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას არავინ მოსთხოვს. ახლა მისი მთავარი მიზანი ფორმის აღდგენაა.

და მაინც, იმ 7 წუთში, რაც მანო ადრიატიკის ლიგის მატჩში „ზადართან“ ათამაშეს, თავი არ შეურცხვენია. ქართველმა უკანახაზელმა 3 ქულა და 4 მოხსნა შეაწია ლიუბლიანელებს, მაგრამ „ოლიმპიას“ არც ამან უშველა. სლოვენიის მარადი ჩემპიონი შინ ხორვატიულ „ზადართან“ გვარიანად შერცხვა — 14 ქულა დათმო.

რაც სლოვენიის მოქალაქეობა მიიღო, ვლადიმერ ბოისა იტალიის ჩემპიონატში ბევრს თამაშობს. ევროკავშირის პასპორტის აღების შემდეგ ის იტალიაში ლეგიონერად აღარ ითვლება და შესაბამისად უცხოელთა კონკურენციაც მასზე აღარ ვრცელდება. სერია A-ს მატჩებში ის ამიერიდან განაცხადში მუდმივად იქნება და თუ დაიმსახურა, მოედანზეც გავა.

კვირას „სიენა“ იტალიის ერთ-ერთ გრანდ „კლიმამიოს“ ხვდებოდა და იოლადაც დაამარცხა. მეტოქის წამოქცევაში ბოისამაც დაიდო წილი, 17-წუთიანი ბურთაობა 9 ქულით გაასრულა.

ბოისა გაცილებით შედეგიანი იყო ევროლიგაში, მაგრამ საერთო საქმეს ამით ვერ უშველა. „სიენამ“ ბელგრადში „პარტიზანთან“ წააგო და ჯგუფიდან გასვლის პერსპექტივა გაიუფერულა.

შემონდ უილიამსი შავი აჩრდილივით დაქრის ევრომოედნებზე და ოდინდელ გრანდს, ახლა კი გვარიანად დაბეჩავებულ „ბარსელონას“ დიდად ეხმარება. კატალონიელებმა ევროლიგაში „ეფესი“ დიდი გაჭირვებით წამოაქციეს და უილიამსის საამმატჩო ულუფამ 18 ქულა და 6 მოხსნა შეადგინა.

აი, ესპანეთის ჩემპიონატში კი ვერ გაუმართლა შემონდს და მის თანაგუნდელებს. „ბარსა“ შინ „ხუვენტუდთან“ დამარცხდა და უილიამსის ჩამორიგებულ 6 პასსაც ელფერი დაეკარგა.

2006 წლის პირველი მატჩი ზაზა ფაჩულიამ ჩინებულად ითამაშა — „ტორონტოს“ 18 ქულა „გადაჰკრა“, მაგრამ ამით ატლანტელებმა ვერ იხეირეს, მომდევნო მატჩებში კი პირიქით მოხდა: ზაზამ შედეგიანობას უკლო, ჯორჯიელებმა კი მოგებათა გემო გაიხსენეს.

6 და 7 იანვარს „ატლანტამ“ მიყოლებით დაამარცხა „ბოსტონი“ და ოკლაჰომა სიტიში გადაბარგებული „ნიუ ორლეანი“. „კელტებს“ ფაჩულიამ 9 ქულა ჩაუგდო, ორლეანელებს კი — 6.

ნიკა ცქიტიშვილი ხომ იშვიათად, ისიც რამდენიმე წუთით გამოჩნდებოდა ხოლმე მოედანზე და ბოლო მატჩში ის „მინესოტას“ განაცხადიდანაც გაქრა.



მანუჩარ მარკოიშვილი მოედანს დაუბრუნდა

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | ევროლიგა<br>სერია A | პარტიზანი<br>კლიმამიო | ს<br>შ | 73:75<br>73:64 | 27<br>17 | 12<br>9 | 7<br>0 | 2<br>1 |
| შემონდ უილიამსი | ბარსელონა | ევროლიგა<br>ესპანეთის ჩემპიონატი | ეფესი<br>ხუვენტუდი | შ<br>შ | 79:74<br>71:76 | 31<br>29 | 18<br>9 | 6<br>0 | 2<br>6 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიადიკის ლიგა | ზადარი | შ | 78:91 | 7 | 3 | 4 | 0 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარული ჩემპ. | ტორონტო<br>ბოსტონი<br>ნიუ ორლეანი | შ<br>ს<br>შ | 97:108<br>103:98<br>101:93 | 32<br>28<br>25 | 18<br>9<br>6 | 7<br>10<br>5 | 1<br>3<br>1 |
| ნიკა ცქიტიშვილი | მინესოტა | NBA რეგულარული ჩემპ. | დალასი<br>სან ანტონიო<br>დალასი | შ<br>ს<br>ს | 91:78<br>77:83<br>79:83 | 1<br>არ უთამაშია<br>განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 0 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ბიბლიოთეკა



ვინს კარტერი ახტა, დახტა და...

# კარტერმა კარტი გახსნა

8 იანვარი

**ტორონტო 104:105 ნიუ ჯერსი**

**ტორონტო:** ბოში (27), ჯეიმსი (26), როუზი (15)

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (42 ქულა, 10 მოხსნა), კიდი (22 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა), კრსტიჩი (16)

**ნიუ იორკი 120:116 სიეტლი**

**ნიუ იორკი:** მარბერი (23 ქულა, 15 პასი), ტეილორი (23), კარი (22), ფრაი (15)

**სიეტლი:** ალენი (33), რადმანოვიჩი (30), ლუისი (19)

**ჰიუსტონი 90:92 დენვერი**

**ჰიუსტონი:** ალსტონი (22 ქულა, 11 პასი), სვიფტი (17), ჰედი (16), ვესლი (15)

**დენვერი:** უოტსონი (20), ენტონი (19), ბოიკინსი (17)

**საკრამენტო 83:108 ინდიანა**

**საკრამენტო:** ტომასი (21), სტოიაკოვიჩი (12), მილერი (12)

**ინდიანა:** ჯეკსონი (11), ჯონსი (18), გრეინჯერი (15)

**პორტლენდი 89:118 მაიამი**

**პორტლენდი:** პატერსონი (16), რენდოლფი (14)

**მაიამი:** ვეიდი (31), უილიამსი (20), უოლკერი (16)

**დაბრუნებაც** ასეთი უნდა! „ნიუ ჯერსი ნეთსისთვის“ მოღვაწე ვინს კარტერი ტორნადოსავით დაატყდა „ტორონტო რეპტორზს“, რომელშიც თავისი ფერადი კარიერის პირველი 6 წელიწადი გაატარა და მოაგებინა ყველაფერი, რაც კი ამ გუნდს ოდესმე მოუგია. ამ პატარა მფრინავ სუბიექტს ზუსტი და მწარე ხელი რომ აქვს, ტორონტოელებმა მშვენივრად უწყიან. მათდა სავალალოდ, ეს ხელი ახლა მათი კალათისკენ იყო მიმართული.

სათქმელია, რომ უხეირო „ტორონტო“ მთელი შეხვედრის განმავლობაში კბილებს ამტვრებდა დივიზიონის ლიდერსა და ზედიზედ 9 თამაშის მომგებ „ნიუ ჯერსის“. მას ამ წაუგებელ სერიასაც გააწყვეტინებდა, სტუმრებს კარტერი რომ არ ჰყოლოდათ.

მასპინძლები მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე 8 ქულას იგებდნენ, წუთით ადრე კი სხვაობა მთელი 6 ქულა (!) იყო. თუმცა „ნიუ ჯერსის“, მისდა ბედად, თავის შემტევ არსენალში მოეძევება ასეთი იარაღი და ამ საინტერესო შეხვედრის ბედიც სწორედ კარტერის ამოუწურავი მარაგიდან წამოსულმა ტყორცნებმა და მასთან, ბოლო გასროლამ გადაწყვიტა — საფინალო სირენამდე 0,1 წამით ადრე მისი „ნიუ ჯერსი“ 102:104 რომ აგებდა, ვინსმა სასწაული სამქულიანი დააქუხა და ერთიანად ჩააჩუმა მის თავზე საავდრო ღრუბელივით შემართული კანადური პუბლიკა.

„ჩვენ გვერდიდან არ მოვცილებივართ, შეიძლება ითქვას, ხელებზე ვასხედით და მან წონასწორობადაკარგულმა ტყორცნა მოუმზადებელი ბურთი...“ — ნამარცხევს უსასოოდ შლიდა ხელებს „ტორონტოს“ ერთ-ერთი ლიდერი მაიკ ჯეიმსი.

არადა, ბოლო ტაიმაუტზე მწვრთნელმა ლოურენს ფრენკმა შეგირდებს ორქულიანის ტყორცა და ანგარიშის გათანაბრება დაავალა, თუმც კარტერმა არ შეისმინა დარიგება და ყველაფრის ოვერტაიმამდე მოთავება მოინდომა — ლამის 8 მეტრიდან ტყორცნაც კი გაბედა და ჩაასრიალა კიდეც ბურთი კალათში.

კარტერმა არც მანამდე დააკლო ხელი ყოფილ თავისიანებს, ბოლო მეოთხედში, როცა „ნეთსს“ ყველაზე მეტად უჭირდა, მან 24 ქულა დაატეხა „რეპტორზს“ და ყოველივე ეს საშინელ გნიასში და იმ ხალხის წყევლა-კრულვაში მოახერხა, რომელიც მას წლების განმავლობაში ანებივრებდა და საწყალი „ტორონტოს“ ფეხზე დასაყენებლად ლამის ციდან მოვლენილ მესიად თვლიდა.

„ნიუ ჯერსისთვის“ ეს მოგება ზედიზედ მეათე იყო და ამ გუნდმა ატლანტიკის დივიზიონში უფრო გაიმყარა ლიდერობა, „ტორონტომ“ კი, მარცხის და კონკურენტ „ნიუ იორკის“ გამარჯვების მიუხედავად, შეინარჩუნა ამავე დივიზიონში ბოლოსწინა ადგილი.

**კოტე ყორშია**

# ქართველებისთვის ევროპა იაპონიიდან იწყება

*საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა რომ სეზონი ყველაზე ადრე დაიწყო, გუშინ ვიუწყებოდით. 2 იანვრიდან მოყოლებული, შოთა ხაბარელი დაახლოებით ორმოცკაციან შემადგენლობას მთაში ავარჯიშებს, ხვალ კი ათ მათგანთან ერთად იაპონიაში მიემგზავრება ძიგორო კანოს მემორიალზე გამოსასვლელად. წლეულს ერთ-ერთი უმთავრესი ტურნირი ევროპის ჩემპიონატია. იგი 20-22 მაისს ჰელსინკში ჩატარდება, ხოლო მანამდე მსოფლიო თასების სერია ჩაივლის, ხაბარელს კი გუშინ ბორჯომში დავურეკეთ*



— ძიგორო კანოს ტურნირზე რა შემადგენლობა მიგყავთ?

— ათი კაცით მივდივართ, მაგრამ საჭიდაოდ მხოლოდ რვა გავა. 60 კილოგრამში ვახტანგ ხოსიტაშვილი და ბეთქილ შუკვანი იჭიდავებენ, 66-ში მინდია ხომიზური, 73-ში დავით მარგოშვილი, 81-ში საბა გავაშელიშვილი, 90-ში ირაკლი ცირეკიძე, ხოლო მძიმე წონაში ლაშა გუჯეჯიანი და გიორგი ყიზილაშვილი. დავით ქევხიშვილი და ზვიად ხანჯალიაშვილი კი სავარჯიშოდ მოდიან.

— ტურნირის შემდეგ აპირებთ იაპონიაში სავარჯიშოდ დარჩენას?

— მემორიალის დასრულების შემდეგ ერთობლივი ვარჯიშები უნდა გაიმართოს, დაახლოებით 5-6 დღიანი. სიმართლე გითხრათ, ჩემი მთავარი საფიქრალი სწორედ მასში მონაწილეობაა.

— სეზონი ახლა იწყება და ბიჭებიც ჯერ ფორმისგან შორს დგანან...

— იაპონური ტურნირი ჩვენს გეგმაში ფაქტობრივად არც იჯდა. ამიტომაც ვთქვი, რომ შედეგს დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებთ. იქაური ვარჯიშების შემდეგ კვლავ ბორჯომში განვაგრძობთ ფართომასშტაბიან შეკრებას რათა თბილისის ტრადიციული ტურნირისთვის მოვემზადოთ, რომელიც 4-5 თებერვალს უნდა გაიმართოს.

— მზადება საოცრად ადრიანად დაიწყეთ. პირველი შეკრება ტრადიციულად ფიზმომზადებას ეთმობა?

— წლეულს უმთავრესი ტურნირი მაისში გასამართი ევროპის ჩემპიონატია და მანამდე დრო რაც შეიძლება მაღალ დონეზე მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ. ამიტომ ამ ეტაპზე ფიზიკურად მომზადებას ჩვეულებრივი, ყოვლისმომცველი შეკრება ვარჩიეთ. მთავარი მოსამზადებელი ეტაპი დახლოებით მარტის შუა რიცხვებიდან დაიწყება ბაკურიანში და სწორედ მაშინ ვგეგმავთ ფიზიკაზე მუშაობას.

— ზურაბ ზვიადაური ოპერაციის შემდეგ ჯერაც მკურნალობს. როდის შეუერთდება ნაკრებს?

— ალბათ ჩვენი იაპონიიდან დაბრუნებისთანავე. ამჟამად იგი ინდივიდუალური პროგრამით ემზადება, 22 იანვრიდან კი, იმედია, ბორჯომულ შეკრებაზე ჩვენთან ერთად იქნება.

— ევროპის ჩემპიონატამდე ფორმის აღდგენას მოასწრებს?

— თუ მოვლენები გეგმაზომიერად განვითარდა, ზურაბი ევროპის ჩემპიონატს აუცილებლად იჭიდავებს, პირველად საერთაშორისო არენაზე კი მანამდე პრაღის მსოფლიოს თასზე (4-5 მარტს) გავა.

— ნაკრების სხვა წევრებს ხომ არ აწუხებთ ტრავმები?

— მხოლოდ უმნიშვნელო. ისინი ვარჯიშების პარალელურად მკურნალობენ.

— აბსოლუტურ წონაში მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი გიორგი ყიზილაშვილი მანამდე 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. სამომავლოდ ისევ 100-ში ჩავა თუ საბოლოოდ შეიცვალა წონა?

— ყიზილაშვილი მძიმეწონოსანი იქნება.

— მსგავს გადაადგილებებს სხვა წონებშიც ხომ არ ველოდოთ. აგერ, მარგოშვილი იაპონიაში 73-ში გამოვა...

— ყველაფერს ტურნირები დაგვანახვებს. მთავარია, ექსპერიმენტებმა სასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს.

**ოთარ გაღლაძელიძე**



# ევროპამ დაგვინდო, შვედეთმა — არა

*ფრენბურთის ევროპის კავშირმა საქარათველოს ფრენბურთის ფედერაციას მოწყალე თვალით გადმოხედა და ადმინისტრაციული აუცილებელი სასჯელი — 6720 ევრო, საახალწლოდ 1000 ევრომდე შეუმცირა*



ლევან ახვლედიანი

**ჩვენები** ევროპელმა „მამებმა" ცნობილი სკანდალის შემდეგ დააჯარიმეს. გეხსომებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის სათამაშოდ საქართველოს ქალთა ნაკრები საფრანგეთის საკონსულომ შვედეთში არ გაუშვა. რამდენიმეს საბუთმა დაგვაეჭვა და ამიტომო — ასეთ იყო საქართველოში საფრანგეთის საკონსულოს ოფიციალური განცხადება.

ამას დიპლომატიური სკანდალიც მოჰყვა, თუმც ჩვენებისთვის სასეირო ბევრიც არაფერი მომხდარა, იქით კი შვედებმა მოსთხოვეს ჩვენებს მატჩის ორგანიზებისთვის დახარჯული ფულის ანაზღაურება. შვედებმა საკომპენსაციო თანხად 20 ათასი ევრო დაასახელეს. ამ ფულის ამბავი თვის ბოლოს გაირკვევა, მანამდე კი საქართველოს ფედერაციამ იანვრის ბოლოს შემცირებული ჯარიმა, 1000 ევრო, აუცილებლად უნდა დასვას ევროპული ფედერაციის ანგარიშზე.

ვითარებაში უკეთ გასარკვევად საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ლევან ახვლედიანს დავუკავშირდით.

„ადმინისტრაციული ჯარიმა მინიმუმამდე, ანუ ათას ევრომდე კი შეგვიმცირეს, მაგრამ დარჩა მთავარი საკითხი, შვედები ჩვენგან 20 ათას ევროს ითხოვენ ჩაშლილი მატჩის სანაცვლოდ. ეს საკითხი თვის ბოლოს გაირკვევა. შესაძლოა, ჯარიმა შემცირდეს ან გაიზარდოს. ყველა ვარიანტში გადასახდელი გვაქვს ათასი ევრო, რასაც გავაკეთებთ კიდეც. მართალია ამდენი ფული არ გვაქვს, მაგრამ, მიუხედავად ჩვენი არგუმენტებისა, ალბათ შვედებისთვისაც მოგვიწევს კომპენსაციის გადახდა. რაღაც უნდა მოვიფიქროთ და ფული ვიშოვნოთ, თორემ ჩვენს ქალთა ნაკრებს დისკვალიფიკაცია არ ასცდება" — გვითხრა ლევან ახვლედიანმა.

**ბათუ ხარძიანი**



# ნადირობა ოლიმპიელებზე

## ყირგიზეთში ოლიმპიელებს ხოცავენ და ამ ქვეყანას სოკ-ი თავის რიგებიდან გარიცხვით ემუქრება

*შარშან ყირგიზეთში ატეხილი პოლიტიკური არეულობა, რასაც დიდი ხოცვა-ჟლეტვა მოჰყვა, სპორტის სფეროზეც გავრცელდა, განსაკუთრებით კი ამ ამბავმა ოლიმპიურ მოძრაობას დარია ხელი. ამას ასევე მკვლელობები მოჰყვა და ეს არეულობა დღემდე გრძელდება*

**კვირას** ბიშკეკში დაცხრილეს ყირგიზეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი რატბეგ სანატბაევი.

სანატბაევი მთელი რიგი საერთაშორისო ასპარეზობების პრიზიორი და გამარჯვებული იყო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. იგი როგორც საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, დაცხრილეს დედაქალაქის ერთ-ერთი მიკრორაიონში, სადაც ვარჯიშის შემდეგ თავის ძმას სტუმრობდა.

ახლა ყირგიზეთის ეოკ-ის მეთაურის მოვალეობას დროებით ასრულებს ბიშკეკელი მეწარმე, ამავე ქვეყნის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰენრიხ ბალიანი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სანატბაევისა და მისი წინამორბედის ყირგიზეთის პარლამენტის დეპუტატის ბაიამან ერკინბაევის მკვლელობებს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჰენრიხ ბალიანსაც დიდი ხიფათი ელის.

რა თქმა უნდა, ეს ყოველივე საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. თუმცა მათ მუქარის წერილი ყირგიზელებს სანტაბაევის მკვლელობამდეც გამოუგზავნეს.

ამ წერილით ირკვევა, რომ ყირგიზეთი შესაძლოა უახლოეს ხანს გარიცხონ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რიგებიდან. ამის თაობაზე ამ დღეებში პრესკონფერენციაზე განაცხადა ყირგიზეთის ეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ალან უსენოვმა.

„სწორედ დღეს დილით მივიღეთ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წერილი, რომელიც ჩვენთვის ბოლო გაფრთხილებაა. სოკი გვთხოვს, რაც შეიძლება სწრაფად მივიღოთ დებულება და შევიტანოთ მასში ცვლილებები სოკის დებულების შესაბამისად" — თქვა ალან უსენოვმა.

უსენოვმა თქვა, რომ სოკ-ის მოთხოვნილებათა შესაბამისად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის შემადგენლობა უნდა დაკომპლექტდეს 45 კაცისგან, რომელთა ორი მესამედი ოლიმპიურ სახეობათა ფედერაციების წარმომადგენლები იქნებიან.

„ისინი შეადგენენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხერხემალს და აირჩევენ და შეავსებენ თავიანთ რიგებს. ეს სოკ-ის აბსოლუტური მოთხოვნაა" — თქვა ალან უსენოვმა.

გენერალურმა მდივანმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ყირგიზეთის ეოკ-ის პრეზიდენტობისთვის „ბინძური ბრძოლა" მიმდინარეობს. უსენოვის თქმით, ყირგიზეთის ეოკ-ის გენერალური ასამბლეის სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე სხვადასხვა დაჯგუფებები ცდილობდნენ კომიტეტში თავიანთი ხალხის შეყვანას, რათა შემდეგ მათ კენჭისყრაზე ხმა მისცენ „ოლიმპიური კომიტეტის პოსტზე საჭირო კანდიდატს".

„სოკ-მა არაერთხელ გაგვაფრთხილა, რომ თუ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ირგვლივ არ შეწყდებოდა ბინძური თამაში, მაშინ ჩვენ, როგორც სპორტული „დერჟავა", რომელსაც აქვს კარგი ტრადიციები, მონაწილეობას ვერ მივიღებთ ვერც ოლიმპიურ თამაშებში, ვერც აზიის სპორტულ თამაშებში და ვერც სხვა საერთაშორისო ასპარეზობებში, რომლებიც სოკ-ის ეგიდით ტარდება" — თქვა უსენოვმა.

თითქოს ეს უბედურება არ ეყოფოდა ყირგიზეთის ოლიმპიურ კომიტეტს და ხუთშაბათს გულის შეტევისგან გარდაიცვალა ყირგიზეთის ბალახის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი კადირბეკ ატაგარაევი, რომელსაც მწვავე კრიტიკა დაატეხეს თავს „ყირგიზეთის ეოკ-ის წევრთა მანიპულირებისთვის".

ყირგიზეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ირგვლივ სკანდალი უკვე ორი წელიწადია გრძელდება. თავდაპირველად იქაური სპორტული საზოგადოების არაერთმნიშვნელოვანი რეაქცია გამოიწვია ყირგიზეთის ეოკ-ის პრეზიდენტად აიდარ აკაევის დანიშვნამ (სწორედ რომ დანიშვნამ და არა არჩევამ), ვინც ამ ქვეყნის ექსპრეზიდენტის უფროსი შვილი იყო. ყირგიზეთიდან აკაევების ოჯახის გაქცევის შემდეგ იქაური ეოკ-ის პრეზიდენტი გახდა რესპუბლიკური პარლამენტის დეპუტატი ბაიამან ერკინბაევი, რომელიც შარშან სექტემბერში დაქირავებულმა მკვლელმა დაცხრილა.

დღეს ყირგიზეთის ეოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე ოცამდე პრეტენდენტი აცხადებს პრეტენზიას. მათ შორის არის ყირგიზეთში ცნობილი „კრიმინალური ავტორიტეტი" რისპეკ აკმატბაევი.

**ამთანდილ ჭყვიშელი**

# ზაბ ჯუდას ფიასკო

**ჯუდას** ბალდომირთან დამარცხებისა არავის სჯეროდა. 35 წლის არგენტინელმა თავის კარიერაში 57 ბრძოლიდან ცხრაჯერ მარცხი იწვნია და ჯუდა მისთვის ღირსეული მეტოქე სულაც არ იყო. მაგრამ აი, მსაჯებმა 12-რაუნდიან ბრძოლაში ერთხმად მიანიჭეს უპირატესობა ბალდომირს, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

ამგვარად, ბალდომირი WBC ვერსიით გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ხოლო ამ წონით კატეგორიაში IBF და WBC ვერსიებით პირველობა ვაკანტური რჩება.

პროფესიული კრივისთვის შედარებით ახალგაზრდა, 28 წლის ჯუდამ უკვე 38 ბრძოლა გამართა და მხოლოდ სამჯერ დამარცხდა. პირველი კრახი 2001 წლის 3 ნოემბერს იწვნია, როცა იგი უბრალოდ მიბეგვა კოსტია ცზიუმ, რომელიც 63,5 კილოგრამ წონით კატეგორიაში აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს იცავდა. მაშინ მეორე რაუნდში ჯუ-

*სახელგანთქმულმა ამერიკელმა მოკრივემ ზაბ ჯუდამ, როგორც გუშინ ვიუწყებოდით, სენსაციური მარცხი იწვნია არგენტინელ კარლოს მანუელ ბალდომირთან შეხვედრაში და გამოეთხოვა ქვესაშუალო წონაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს. ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ შეკრებილმა მაყურებელმა დარბაზი მოკირებულმა დატოვა. მათმა კერპმა ჯუდამ, რომელიც ამერიკის კრივის ბოლო იმედად ითვლებოდა, მარცხი იწვნია*

და ნოკაუტში ჩავარდა, მაგრამ როცა მსაჯმა ჯეი ნადინმა ცზიუს გამარჯვების ნიშნად ხელი აღმართა,



AFP ნიუ იორკიდან

ზაბ ჯუდამ (მარჯვნივ) კარლოს მანუელ ბალდომირის მუშტებს ვეღარ გაუძლო

ჯუდა მთელ სამყაროს აუმხედრდა და საქმის გარჩევა სცადა, მაგრამ ეს სასაცილოდ და სულელურად ჩანდა: ამერიკელი ისეთ დღეში იყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა და რინგზე მოძრაობისას ფეხები ეხლართებოდა. ჯუდას ისტერიკა მალევე დააშოშმინეს, ხოლო როცა იგი მიხვდა, რომ მას ამ წონით კატეგორიაში არაფერი ესაქმებოდა, ქვესაშუალოში (66,7კგ) გადავიდა და იქ კორი სფინქსთან დამარცხდა, მაგრამ შარშან მასთან რევანში აიღო, რითაც მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა, მას მერე კი თავისი ტიტული მექსიკელ კოსმრივერისთან ბრძოლაში დაიცვა.

ახლა ჯუდას ბალდომირთან ბრძოლა ყველას რიგით შეხვედრად ესახებოდა, მაგრამ მან ყველაფერი დაკარგა.

იმავე დღეს ნიუ იორკში WBA და WBC ვერსიების გამაერთიანებელი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული დაკარგა პირველ მძიმე წონაში ფრანგმა ჟან მარკ მორმეკმა, რომელიც მეათე რაუნდში დამარცხდა იამაიკელ ონილ ბელისთან, რომელიც IBF ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ფლობდა.

საინტერესოა, რომ მორმეკი სულ ბოლოს პროფესიულ რინგზე რვა წლის წინათ დამარცხდა.



# მოულოდნელი ლიუბიჩიჩი

**ATP**

*ჩენაი. ინდოეთი*

*მაგარსაფარი.*

საპრიზო 355 000 დოლარი

ფინალი

**ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 1) — კარლოს მოია (ესპანეთი, 3) — 7:6 6:2

**გასული** სეზონის ერთ-ერთმა მთავარმა აღმოჩენამ, ხორვატმა ივან ლიუბიჩიჩმა ახალი წელიც მშვენივრად დაიწყო და ინდურ ჩენაიაში პირველი ტიტულიც დაიხვეა. ამისთვის ხოვარტს ჩენაიში ბოლო ორი წლის გამარჯვებულის, ესპანელი კარლოს მოიას დამარცხება დასჭირდა.

ისე კი ლიუბიჩიჩს არ გაუმართლა. მას კვირას ორი მატჩის ჩატარება მოუხდა, ვინაიდან შაბათს გასამართი ნახევარფინალური მატჩი ბელგიელ კრისტოფ ვლიგენთან წვიმის გამო გადაიდო. ჰოდა, ლიუბიჩიჩი ჯერ დილით გავიდა კორტზე და მეტად დაძაბულ, თითქმის ორსაათიან ორთაბრძოლაში მოიპოვა ფინალის საგზური, ამის შემდეგ კი სულ რაღაც ორიოდე საათში ხელმეორედ გავიდა კორტზე, ამჯერად ფინალის სათამაშოდ.

ასეთ პირობებში ბევრს ეგონა, რომ შეიძლებოდა ხორვატს, უბრალოდ, ფიზიკურად ვეღარ გაეძლო, რადგან სეზონი ახალი დაწყებულია და იგი ფიზიკურად საუკეთესო კონდიციებში არ უნდა იყოს.

ასე თუ ისე, ლიუბიჩიჩმა დიდებულად ითამაშა და ახალი წელიც მოგებით დაიწყო. მან კვლავაც კარგად გამოიყენა თავისი მთავარი იარაღი — ძლიერი მოწოდება და სწრაფი შეტევები.

პირველ სეტში საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც თავიდან მოია კი დაწინაურდა, მაგრამ ლიუბიჩიჩმა ოდნავ მოუმატა და საწყისი პარტია მოიგო კიდეც, მეორე სეტში კი ყველა პროგნოზის საპირისპიროდ ესპანელს უფრო ეტყობოდა დაღლა და თითქმის ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ლიუბიჩიჩს.

„ფინალში საუკეთესო თამაში ვაჩვენე, ეს წელი კი მართლა კარგად დაიწყო. შარშან ფანტასტიკური სეზონი მქონდა და ვიმედოვნებ, წლეულსაც გავიმეორებ იმ შედეგებს. ჩემდა გასაკვირად, ფიზიკური გამძლეობის მხრივ არანაირი პრობლემები არ შემქმნია. არადა, ერთ დღეში ორი მატჩი ჩავატარე“ — განაცხადა ლიუბიჩიჩმა.

მოიამ კი, ძალიან ცუდად ვითამაშე და ჩემი მოწინააღმდეგე გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებდაო.



ჟუსტინ ენინ-არდენი



AFP სიდნეიდან

ივან ლიუბიჩიჩი

**ATP**

*სიდნეი. ავსტრალია*

*მაგარსაფარი.*

*საპრიზო 394 000 დოლარი*

პირველი წრე

**კრის კუჩიონე** (ავსტრალია) — ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი, 5) — 4:6 6:3 7:5; **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) — 6:2 76; **აუგუსტინ კალერი** (არგენტინა) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) — 6:4 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (ავსტრალია, 1) — ვინსენტ სპადეა (აშშ) — 2:6 7:5 6:3; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ, 8) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) — 7:6 6:4; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ტაილორ დენტი (აშშ) — 6:1 2:6 6:2

**WTA TOUR**

*სიდნეი. ავსტრალია*

*მაგარსაფარი*

*საპრიზო 600 000 დოლარი*

პირველი წრე

**ანა ივანოვიჩი** (სერბეთ-ჩერნიგორია) — შუაი პენგი (ჩინეთი) — 6:2 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი, 6) — შინობუ ასაგოე (იაპონია) — 6:1 5:7 7:5; **მარია კირილენკო** (რუსეთი) — გიზელა დულკო (არგენტინა) — 6:4 3:0 (შეწყდა); **ნა ლი** (ჩინეთი) — ფლავია პენეტა (იტალია) — 6:4 6:1; **ფლავია სკიავონე** (იტალია, 7) — ალი სუგიამა (იაპონია) — 6:1 6:2; **ჟინ იანი** (ჩინეთი) — ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) — 6:3 6:3; **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) — 6:4 3:6 6:1; **დინარა საფინა** (რუსეთი) — ანალენა გრონეფილდი (გერმანია) — 6:2 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი) — სანია მირზა (ინდოეთი) — 6:4 2:6 6:2; **იულიანა ფედაკი** (უკრაინა) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — 6:4 3:6 6:3; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (ჩეხეთი, 8) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) — 6:4 4:6 6:1; **ჟუსტინ ენინ-არდენი** (ბელგია, 5) — მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 6:3 6:3

**სიდნეიში** კვირას დაწყებული WTA TOUR-ის მორიგ ტურნირზე საკმაოდ საინტერესო შემადგენლობამ მოიყარა თავი და არც საპრიზო ფონდია მცირე. გარდა ამისა, ჩოგბურთელთა უმრავლესობისთვის ეს ბოლო რეპეტიცია იქნება ავსტრალიის ღია პირველობის წინ.

ყველაზე დიდ ინტერესს უეჭველად ჩოგბურთში დაბრუნებული მარტინა ჰინგისი იწვევს. მით უმეტეს, ახლა, როცა მისი მოწინააღმდეგე დღესდღეობით ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი, ბელგიელი ჟუსტინ ენინ-არდენი იყო. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ შვეიცარიელს არ გაუმართლა, ვინაიდან ენინს ახლა თვითონაც ბევრი აქვს დასამტკიცებელი. შარშან მას ტრავმის გამო ფაქტობრივად სეზონის ნახევარი გაუცდა და ამიტომ დიდი მოტივაციით უნდა ეთამაშა.

ამ შეხვედრაში კარგად გამოჩნდა, რომ ჰინგისს ჯერ არ შესწევს ძალა, სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს ტოპ-ჩოგბურთელებს. შვეიცარიელმა საკმაოდ იოლად, ერთნაირი ანგარიშით 3:6 3:6 დათმო შეხვედრა და სიდნეის კორტებს მინიმუმ ერთი წლით გამოემშვიდობა.

ჰინგისის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის საკმაოდ ობიექტურად აფასებს თავის მომზადების დონეს და ამ წარუმატებლობის (იმედი ვიქონიოთ, დროებითის) გამო არ აპირებს ფარ-ხმლის დაყრას:

„ვიცოდი, რომ ძნელი იქნებოდა ეს თამაში... ძალიან შორს ვარ ჩემი საუკეთესო ფორმისგან და ეს წაგება მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა... ახლა მხოლოდ უნდა მოვიცადო და მოვითმინო, ვინაიდან კიდევ საკმაო ხანი გავა, სანამ ჩემს თამაშს დავიბრუნებ... რაც მთავარია, ვიცი, რაზე უნდა ვიმუშაო“ — თქვა ჰინგისმა თამაშის შემდეგ.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია ჩოგბურთის ორი ამომავალი ვარსკვლავის — სერბი ანა ივანოვიჩისა და ჩეხი ნიკოლ ვაიდიშოვას შემდეგ ეტაპზე გასვლა. მათ მეორე ეტაპზე რუსი სვეტლანა კუზნეცოვა და იტალიელი ფრანჩესკა სკიავონე შეუერთდნენ.



AFP სიდნეიდან

ლეიტონ ჰიუიტი

**კახა ლომაშვილი**

# შეუჩერებელი როკა




AFP მარიბორიდან

იანიცა კოსტელიჩი პოზიციებს იმყარებს

**ოთხიდან ოთხი** — ასეთი შედეგი აქვს მსოფლიოს თასის მიმდინარე სეზონში სლალომის დისციპლინაში იტალიელ ჯორჯო როკას. იგი წლეულს მართლაც დიდებულ ფორმაშია და, როგორც ჩანს, სერიოზულად დაუმიზნა ოლიმპიურ ოქროს. იტალიელმა ამჯერად შვეიცარიულ ადელბოდენში იმარჯვა.

წინა ეტაპებისგან განსხვავებით, როკამ თავიდანვე სერიოზულად მოჰკიდა ხელი საქმეს. აქამდე უკვე ფაქტობრივად წესად იქცა, რომ პირველ ცდაზე ავსტრიელი ბენჯამინ რაიხი აჩვენებდა საუკეთესო შედეგს, როკა კი მეორე ცდაზე მიღწეული უსწრაფესი შედეგით ახერხებდა მეტოქეთა ჯობნას. თუმც შვეიცარიაში იგივე აღარ განმეორდა — როკამ პირველივე ცდაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა, მეორეზე კი უკვე წყნარად, უშეცდომოდ დაეშვა და მოიგო კიდეც სლალომის მორიგი ეტაპი, კარიერაში მეათედ.

„ოთხი სლალომი ზედიზედ, ეს ჩემი ოცნების ასრულებაცაა და ბედის საჩუქარიც. ხანგრძლივმა ვარჯიშებმა კი თავისი შედეგი მაინც გამოიღო. ახლა უკვე სტაბილურიც გავხდი" — თქვა გახარებულმა როკამ.

მეორე ადგილი ადელბოდენში ახალგაზრდა ამერიკელმა ტედ ლიგეტიმ დაიკავა. იგი ამ სეზონში უკვე მესამედ ავიდა პოდიუმზე.

ამერიკელს ოდნავ ჩამორჩა ავსტრიელი ბენჯამინ რაიხი. მართალია, მან მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ ეს უქმეები მისთვის მაინც მეტად ნაყოფიერი გამოდგა, რადგან წინა დღეს, შაბათს გიგანტურ სლალომში იმარჯვა და უფრო გაიმყარა ლიდერის პოზიცია საერთო ჩათვლაში.

ქალები კი ამჯერად სლოვენიურ მარიბორში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. კვირას აქ, როგორც იქნა, ნორმალური ამინდი იყო და, შაბათისგან განსხვავებით, ამ ეტაპის ჩატარება მოხერხდა.

უნდა ითქვას, რომ ტრასა საკმაოდ რთული აღმოჩნდა მოთხილამურეთა უმრავლესობისთვის. ჯერ კიდევ პირველ ცდაზე მოთხილამურეთა თითქმის ნახევარმა ვერ მოახერხა ფინიშამდე მისვლა. მათ შორის აღმოჩნდა შარშანდელი მსოფლიოს თასის გამრჯვებული, შვედი ანია პიერსონიც.

ასეთ ვითარებაში თავისი საუკეთესო თვისებები გამოავლინა ავსტრიელმა მარლის შილდმა, რომელმაც ბოლო 5 დღეში მეორე ეტაპი მოიგო. ამაში მას ისიც დაეხმარა, რომ პირველი ცდის შემდეგ გალიდერებულმა ავსტრიელმა, თინეიჯერმა კატრინ ცეტელმა მეორე ცდა ბოლომდე ვერ დაასრულა.

„ძალიან ცუდი ტრასა იყო, განსაკუთრებით მეორე ცდის შესრულება გამიჭირდა. ამიტომაც ეს გამარჯვება ჩემთვის ერთობ ძვირფასია" — განაცხადა შილდმა.

მეორე ადგილი ხორვატმა იანიცა კოსტელიჩმა დაიკავა, რითაც საერთო ჩათვლაში ლიდერობა უფრო განიმტკიცა. იგი პიერსონს თითქმის 150 ქულით უსწრებს.

მესამე ადგილზე აქამდე ნაკლებად ცნობილი შვედი ტერეზა ბორსენი გავიდა, რომელმაც კარიერაში პირველად მოახერხა პოდიუმზე ასვლა.

**ბაჩა ლომაშვილი**



AFP ადელბოდენიდან

ჯორჯო როკა

### ქალები

*მარიბორი. სლოვენია*

**სლალომი**

1. მარლის შილდი (ავსტრია) — 1.48,34
2. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 1.48,91
3. ტერეზა ბორსენი (შვედეთი) — 1.49,03
4. კრისტინა კოზნიკი (აშშ) — 1.49,52
5. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) — 1.49,66

***საერთო ჩათვლა:*** *1. იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 732 ქულა; 2. ანია პიერსონი (შვედეთი) — 585 ქულა; 3. მიკაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 510 ქულა*

### კაცები

*ადელბოდენი. შვეიცარია*

**სლალომი**

1. ჯორჯო როკა (იტალია) — 1.39,14
2. ტედ ლიგეტი (აშშ) — 1.39,74
3. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) — 1.39,92
4. ჟან-პიერ ვიდალი (საფრანგეთი) — 1.40,21
5. კალე პალანდერი (ფინეთი) — 1.40,45

***საერთო ჩათვლა:*** *1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) — 606 ქულა; 2. ბოდე მილერი (აშშ) — 489 ქულა; 3. დარონ რავლეხი (აშშ) — 489 ქულა*

ბიატლონი

# მსოფლიოს თასი

### კაცები

*ობერჰოფი. გერმანია*

**მას-სტარტი 15 კმ**

1. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) — 32.24,2
2. სვენ ფიშერი (გერმანია) — +0.10,1
3. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) — +0.10,9

***საერთო ჩათვლა:*** *1. ალექსანდერ ვოლფი (გერმანია) — 288 ქულა; 2. სვენ ფიშერი (გერმანია) — 271 ქულა; 3. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) — 258 ქულა*

### ქალები

*ობერჰოფი. გერმანია*

**მას-სტარტი 12,5 კმ**

1. მარტინა გლაგოუ (გერმანია) — 39.05,7
2. ოლგა პილიოვა (რუსეთი) — +0.02,0
3. კატრინ აპელი (გერმანია) — +0.05,3

***საერთო ჩათვლა:*** *1. კატი ვილჰელმი (გერმანია) — 341 ქულა; 2. ანა-კარინ ოლოფსონი (შვედეთი) — 30 ქულა; 3. უში დიზლი (გერმანია) — 305 ქულა.*

ჰოკეი

NHL

## რეგულარული ჩემპიონატი

# ნუ აჰყვებით ცრუმოძრაობებს

8 იანვარი

**ვაშინგტონი 3:4 ფლორიდა**

*2:1 0:2 1:0 0:0 0:1*

***ბულიტების სერიაში***

1:0 პიუარდი (1), 2:0 ზუბრუსი (4), 2:1 ჰილი (18), 2:2 იოკინენი (31), 2:3 იოკინენი (32), 3:3 ზუბრუსი (53), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: ნუინდაიკი

**ისედაც** ბრწყინვალედ მოასპარეზე „ფლორიდას" მეკარემ, რობერტო ლუონგომ (სწორედ მას უნდა უმადლოდეს გუნდი, რომ დღეს მთლად სავალალო მდგომარეობაში არ არის) „ვაშინგტონთან" მატჩში თვით ალექსანდრ ოვეჩკინს აუღო ბულიტი.

დიახ, არ გაგიკვირდეთ, თავის სადებიუტო სეზონში ოვეჩკინმა სახელი გაითქვა, როგორც ბულიტების ოსტატმა და მეკარეთა რისხვამ. აქამდე მის აქტივში ხუთი წარმატებული ბულიტი იყო 7 ცდიდან, მაგრამ ამჯერად ვერ მოატყუა ნუონგი, მომდევნო ცდაზე კი ჯო ნუინდაიკმა სტუმრებს გამარჯვება მოუტანა.

„მთავარია არ აჰყვე მის ცხრუმოძრაობებს და ბოლომდე მოითმინო" — ასე ახსნა ლუონგომ ოვეჩკინთან გამკლავების ფაქტი.

**დეტროიტი 3:6 დალასი**

*1:0 2:3 0:3*

1:0 ზეტერბერგი (4), 2:0 შნაიდერი (21), 3:0 უილიამსი (22), 3:1 ჰაგმანი (23), 3:2 დეჰტინენი (32), 3:3 ბუშე (38), 3:4 ლეჰტინენი (47), 3:5 კაპანენი (47), 3:6 ჩერნკვისტი (49)

**ფინიქსი 2:5 კოლუმბუსი**

*1:3 1:1 0:1*

0:1 კლესლა (7), 1:1 ნადი (11), 1:2 ნეში (12), 1:3 ბერარდი (16), 2:3 დოუნი (22), 2:4 ბერარდი (24), 2:5 ბერარდი (60)

**„როგორც** იქნა, რიცხვმრავლობაში ავთამაშდით და ეს მთლიანად ნეშის დამსახურებაა" — მატჩის გმირმა, „კოლუმბუსის" მცველმა ბრაიან ბერარდმა, რომელმაც სამივე შაიბა რიცხობრივ უპირატესობაში შეაგდო, თავმდაბლობა გამოიჩინა და კლუბის მთავარი ვარსკვლავი შეაქო.

მართლაც, რაც ნეში გამოჯანმრთელდა, „კოლუმბუსს" აშკარად დაეტყო სასიკეთო ცვლილებები. ვეტერანი სერგეი ფიოდოროვიც კი ათამაშდა, რომელმაც ამჯერად 4 პასი მიითვალა.

**ჩიკაგო 1:5 ნეშვილი**

*0:2 0:1 1:2*

0:1 სმიტსონი (10), 0:2 ჰოლი (19), 0:3 პერო (32), 0:4 პერო (43), 0:5 სალივანი (47), 1:5 ბელი (48)

**„ჩიკაგომ"** ზედიზედ მეათე მარცხი განიცადა.

**სამველ ღარიბიანი**



AFP დეტროიტიდან

„დეტროიტისა" და „დალასის" შეხვედრის მომენტი

AFP




# ბურთი ტაძართან

*უსპენსკის განთქმული ტაძარი მოსკოვის ახლოს დიმიტროვში, შობა დილას ეგებება. სიტროენის საჰაერო ბურთი კი ტაძრის წინ სწორედ დღესასწაულის გამო აფრენილა.*

# იპოვე ჰალვარდი

AFP




*ამ ბიატლონისტებს შორის ჩემპიონის ამოცნობა ძნელია, ვინაიდან სტარტზე ყველა სწორია. ობერჰოფში მიმდინარე მსოფლიოს თასზე კი 15-კილომეტრიანი სროლა-რბოლის გამარჯვებული ნორვეგიელი ჰალვარდ ჰანევოლდი შეიქნა.*

AFP




# გიგანტური მომგები

*ასე ხარობს შვეიცარიელი დანიელა მიული, ვისაც მსოფლიოს თასის ქალთა სნოუბორდში, კერძოდ კი გიგანტურ სლალომში უმარჯვია. ძნელი საქმეა.*

AFP

# სამედიცინო წამალი



*ეს ბურთი რაიმე სალაღობო არ გეგონოთ. ამ სამედიცინო მოწყობილობით „დენვერ ნაგეტსის" კენიოლ მარტინი თამაშისას დაშავებულ გავას იამებს.*

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე
სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge